პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 64 (20105) ხუთშაბათი, 17 მარტი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ლენინურ ნლისთავს — გარდაქმნის ენერგია

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა მოსკოვის შრომითის კოლექტივებში. მათმა მონაწილეებმა წინადადება წამოაყენეს 16 აპრილს მოეწყოს ვ. ი. ლენინის დაბადების 118 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა. მშრომელებმა მოეწოდეს ყველას ამ დღეს იმუშაონ უმაღლესი შრომის ნაყოფიერებით, ძირითადად დაზოგილი მასალებითა და ენერგეტიკული რესურსებით. შაბათობის დროს გამომუშავებული სახსრები გადაწყვეტს გადარიცხონ დედაქალაქის კეთილმოწყობის, კოლექტივების შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის.

მოსკოვის სახარისხებელი დეპო. ფართოდება შეჯიბრება XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის აღსანიშნავად. კომუნისტური მრწამსის ახალი დემონსტრაციის, უნაგარო შრომის მაგალითი გახდება 16 აპრილის შაბათობა.

დეპოს სალოკომოტივო ბრიგადებმა უკვე წაიყვანეს პირველი მატარებლები დაზოგილი ელექტროენერგიითა და ნიწილის საწავავით შრომის დღესასწაულის აბგარიშში, თქვა ექსპლოატაციის სამაჭრის პარტიული ბიუროს მდივანმა ვ. ხარიტონმა.

შაბათობის აღსანიშნავად მოსკოველმა რკინიგზელებმა ვალდებულება იკისრეს წაიყვანონ 180 სატვირთო და 97 სამგზავრო მატრიალელი, დამატებით გაარემონტონ 11 ლოკომოტივი და რკინიგზის პლატფორმაზე დადგმული ამწე.

▼ ▼

ხარისხისა და სიუხვისათვის

მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ (თავმჯდომარე — რ. ჭეიშვილი) ჩაის პლანტაციებში დღეხიადაგ თავდადებული შრომა სუფევს. მეჩაიეები დილიდან გვიან ღამემდე შრომობენ, ბაყარ საფუძველს უყრიან მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. ვადაზე ადრე დამთავრეს ბუჩქების მსუბუქი ბარვა, კალიებისა და ფოსფოროვანი სასუქების შეტანა, მძიმე და ნახევრად მძიმე გასხვლა, ირიგების გაფშვნდა, მიმდინარეობს შალიერული გასხვლის სამუშაოები.

ნაგომრელები მუყაითად ემზადებიან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის, არემონტებენ საპლანტაციო გზებს, წესრიგში მოჰყავთ ჩაის მიმღები პერიფერიული პუნქტები, დამატებით აშენებენ თავფესაფარ ფარფულებს, იმარაგებენ მეჩაიეთა საწვიმრებს, რეზინის ჩექმებს.

მეჩაიეებმა კარგად აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს, რომ სეზონში გეგმის გადამეტებით დააბზადონ სულ ცოტა 50 ტონა ჩაის ფოთოლი. მოკრეფილ ნედლეულში პირველი ხარისხის ბეღლოითი წილი აიყვანონ არა ნაკლებ 73 პროცენტამდე.

გრძელდება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება

ბელგრადი, 16 მარტი (სიდლისნ სპეც. კორ). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტში სამშაბათს გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვი და იუგოსლავიის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება.

მიმართა რა მ. ს. გორბაჩოვს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. კრუნჩმა თქვა, რომ იუგოსლავიის კომუნისტები, ყველა შრომელი განსაკუთრებული ყურადღებით დგებენ თვალს საბჭოთის ცხოვრებაში ისტორიულ შემობრუნებას, საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს.

მომქმე საბჭოთა ხალხს ეუსურვებთ წარმატებას გარდაქმნაში, რომელიც შექმნის ამის საშუალებას, რომ უფრო სრულად გამოვლინდეს საზოგადოების შემოქმედებითი შესაძლებლობანი, მატერიალური და სულიერი პოტენციალი. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება სოციალიზმის ავტორიტეტისა და მიმზიდველობის ზრდისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა მადლობა გადიხადა გულთბილი სტუმარმასპინძლობისათვის, იუგოსლავიის მიწა-წყალზე გულღია მასპინძლობისათვის და თქვა, რომ იუგოსლავ ამხანაგებთან მოლაპარაკება ადასტურებს ორივე მხარის სურვილს განავითაროს ყოველმხრივი თანამშრომლობა, აიყვანონ იგი ახალ, უფრო მაღალ დონეზე. ჩვენმა ურთიერთობამ, თქვა მან შემდეგ, თავის დროზე ძნელი გამოცდა გაიარა. ჩვენ აქედან გამოვიტანეთ დასკვნები, ჩამოვაყალიბეთ პრინციპები, რომელთა საფუძველზე საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობა განმტკიცდა, ახალი თვისება შეიძინა. დეკლარაცია, რომელიც შეთანხმებულია, საშუალებას მოგვცემს ვიმოქმედოთ უფრო მასშტაბურად.

აღინიშნა, რომ მასშტაბის, ეროვნული თავისებურებებისა და კონკრეტული პირობების განსხვავების მიუხედავად, სსრ კავშირი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა ყველაზე მოლიანად მსგავს ამოცანებს. და ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსი. რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება შექმნილი ინსტიტუტების შეცვლას. საქმე ის არის, რომ მიეგნიჭოთ მათ, ასე ვთქვათ, მეორე სუნთქვა, გაეზარდოთ საბჭოების — ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის როლი და გავლენა. მათი საქმიანობის გარდაუმქნელად ძნელი წარმოსადგენია ბიუროკრატიზმის საბოლოო დაძლევა, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სოციალური პროცესების დინამიზაცია. ეს სფერო ყველაზე უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის ფაქტორის ამაღლებასთან.

აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიაზე, პოლიტიკური გეზისა და თეორიული ნამუშევრების ფორმირებაზე, მტკიცე სამართლებრივი საფუძვლის შექმნაზე.

სოციალიზმის განვითარების ახლანდელ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის ფუნქციების გაგაზრებას, მისი მუშაობის მეთოდების განახლებას. მ. ს. გორბაჩოვმა განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რა წარუვალი მნიშვნელობა აქვს პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის, როგორც იმ ფაქტორის როლის ლენინურ გაგებას, რომელიც ორთოდოქსებს ჩვენი ქვეყნების შრომელი ხალხის ენაზე ეუბნებოდა, ყველა ერსა და ეროვნებას.

ცხოვრება ახალ მოთხოვნებს უყენებს პარტიათშორის თანამშრომლობას. აღნიშნა რა დინამიკა, რეგულარული დიალოგი პოლიტიკურ დონეზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თქვა, რომ დადგა დრო ვიფიქროთ, როგორ გავხადოთ ყველაფერი ეს კიდევ უფრო მოზაზმიმართული, შინაარსიანი, ურთიერთგამამდიდრებელი. ჩვენ დაინტერესებული ვართ ფართო დიალოგით, რათა მას ჰქონდეს ცოცხალი, საქმიანი და არა რიტუალური ხასიათი, ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა. უფრო გამედეულად უნდა წარვმართოთ პარტიული მეცნიერული დაწესებულებების ხაზით თანამშრომლობა. ბევრი ფიქრია საჭირო, ხელი მოკიდოთ თეორიული პრობლემების დამუშავებას, გამოცდილების ერთობლივ განზოგადებას.

იუგოსლავიის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თანამშრომლობის მდგომარეობისა და შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობათა შეფასებას. დადასტურდა მზადყოფნა კვლავაც განავითარონ პარტიათშორისი ურთიერთობა სტაბილურ საფუძველსა და იმ პრინციპებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია ერთობლივ დოკუმენტებში, საბჭოთა-კავშირ-იუგოსლავიის შეთანხმებულ დეკლარაციაში, ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დიალოგს, მათ შორის მსოფლიო პოლიტიკის ისეთ მწვავე საკითხებზე, როგორიცაა ჩრდილეთო-სამხრეთის ურთიერთობა, განვითარებადი ქვეყნების დავალიანების, მათი ტექნოლოგიური დამოკიდებულების პრობლემა.

განაგრძო რა ეს თემა, მ. ს. გორბაჩოვმა თავის მხრივ შენიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნები დგანან საარსებო აუცილებლობის წინაშე გაიერთიანონ თავიანთი მეცადინეობა ტექნოლოგიური დაწინაურების ინტერესებისათვის, რათა განთავისუფლდნენ ეგრეთ წოდებული „იმპორტის შავი ჭირისაგან“ და გავიდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიჯნებზე.

ბ. კრუნჩმა დაწვრილებით ილაპარაკა რიგ პრობლემებზე, რომლებსაც აწყდება და წყვეტს დღეს იუგოსლავიის საზოგადოება. მან აღნიშნა, რომ მათი სიმწვავე საოთოს არ ხდის სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების მაგისტრალურ გზას. მან გააცნო საბჭოთა ხელმძღვანელს, საკითხები, რომლებიც გატანილი იქნება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის კონფერენციის განსახილველად. ცოცხალი, ურთიერთგაგებით გამსჭვალული დიალოგი გიმართა ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზაციის შეფარდების საკითხებზე. საჭიროდ იქნა მიჩნეული ამ საქმეში წარმოქმნილ პრობლემათა გაღრმავებული ერთობლივი ანალიზი.

საუბრისას მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა აზრთა გაზიარებამ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების თანამშრომლობის საკითხებზე. აღინიშნა, რომ ამ თვალსაზრისით რადიკალური შემობრუნების მომსწავლებელი იყო პარტიებისა და მოძრაობების წარმომადგენელთა მოსკოვის შეხვედრა, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელებმა ხაზი გაუსვეს, რომ შეხვედრამ დადასტურა პროგრესული ძალების მზარდი მისწრაფება ერთობლივი მოქმედებისადმი თანამედროვეობის საკვანძო პრობლემების მიხედვით, უწინარეს ყოვლისა, გამალებული შეიარაღების, ომის საშიშროების წინააღმდეგ აკაცობრიობის გადარჩენისათვის ბრძოლაში. ამასთან ერთად ითქვა, რომ ეს პროცესი იოლად არ ვითარდება, რომ საჭიროა ჩვენი დროის ახალი რეალიების ღრმა გააზრება, ზოგადსაკაცობრიო ინტერესების პრიორიტეტის გაგება.

ორივე მხარემ გამოთქვა კმაყოფილება გულახდილობის, გულწრფელობის ნამდვილად პარტიული ატმოსფეროს გამო, რომელიც მოლაპარაკებას ახასიათებდა. მ. ს. გორბაჩოვმა და ბ. კრუნჩმა დადასტურეს მზადყოფნა, უფრო ინტენსიური გახადონ თავისუფალი დიალოგი, ფართო ფრონტით შეუდგნენ გამოცდილების გაზიარებას სოციალისტური შენგლობის სხვადასხვა საკითხში.

საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ი. ს. სილაევი, სხვა ოფიციალური პირნი; იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები მ. ორლანდიჩი, მ. რენოვიცა, ვ. ტუპურკოვსკი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი ს. სტოიანოვიჩი, სხვა ოფიციალური პირნი.

ზოგელთვის საიმედოა „ავტორემონტის“ საწარმოო გაერთიანების მეთაური ქარხნის ელექტრომშდუღებლის ნოდარ გაბარაევის ნახელავი. მოვალეობისადმი სერიოზულმა დამოკიდებულებამ, თავისი საქმის ცოდნამ, გულისხმიერებამ და თანდგომამ ავტორიტეტი მოუხვეჭა მუშაკს. მას პატივს სცემს და აფასებს საწარმოს მრავალეროვანი კოლექტივის ყველა წევრი. კომუნისტი ნ. გაბარაევი კეთილსინდისიერი შრომის მაგალითს უჩენენს ყველა თანამშრომელს. ამიტომაც იგი ერთხმად აირჩიეს საწარმოს საინსტრუმენტო და ეკსპერიმენტული უნნის პარტიულო ბიუროდ. სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის ღირსეული შეხვედრისათვის მოწონებე მუშამ გადადებული ვალდებულება აღესრა.

სურათზე: ნოდარ გაბარაევი.

ვ. ბენგეზეროვის („კომუნისტი“) ფოტო.

საუბარმოო გაერთიანება „ივო ლოლა რიბარში“. საუბარი თვითმმართველობის, ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

სტუმართმოყვარე იუგოსლავიის მიწა-წყალზე

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი 15 მარტს გაეცნო ოსიპ ბროზ ტიტოს მემორიალური კომპლექსის ექსპონატებს.

მიმართა რა მემორიალის თანამშრომლებს, იუგოსლავიის ოფიციალურ პირთ, რომლებიც მას ახლავან ქალაქში მოგზაურობის დროს, გენერალურმა მდივანმა თქვა: ძალიან მოხარული ვარ, რომ ვიზიტის დღეებში მოვედი აქ, სადაც ამხანაგი ტიტომ მუშაობა დაიწყო რევოლუციის შემდეგ. მემორიალში მოსულთა მინდა გამოვხატო ჩემი პატივისცემა, ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის პატივისცემა იოსიპ ბროზ ტიტოს, იუგოსლავიის კომუნისტების მიმართ. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ მემორიალში მოსვლა ნაყარნახევია არა უბრალოდ ცნობისმოყვარეობით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ჩემი პარტიული მოვალეობით.

შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელი ეწვია ქალაქის შეგობრის პარკს. ვიზიტის სამახსოვროდ მან ახალგაზრდა კედარი დარგო.

გენერალური მდივანი გაეცნო პიონერებს — ბუნების დაცვის ორგანიზაციის წევრებს. ერთ-ერთმა მათგანმა, მეორე კლასის მოსწავლემ მილენა ჯორჯევიჩმა თქვა, რომ პირველი ხე აქ დარგულია ბელგრადში მიუმხრობლობის მოძრაობის მონაწილე ქვეყნების კონფერენციასთან დაკავშირებით. თქვენ, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, — დიდ საქმეს აკეთებთ, როცა უვლით მიუმხრობლობის მოძრაობის კონფერენციის მუშაობის გამო გაშენებულ პარკს.

ხის დარგვას დაესწრო მრავალი უცხოელ ჟურნალისტი. უპასუხა რა მათ კითხვებს, საბჭოთა ხელმძღვანელმა თქვა: იუგოსლავიის ხელმძღვანელებთან საუბრების დროს, რომლებიც მეგობრულ და საქმიან ატმოსფეროში, გულახდილობის სულისკვეთებით მიმდინარეობს, განვიხილავთ ყველა პრობლემას. ჩვენ ბევრ რამეზე შევთანხმდით. ფფიქრობ, რომ ამას, რასაც ვიზიტის დროს გადაწყვეტთ, დიდი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის განვითარებისათვის.

ძალიან დიდ დროს ვუთმობთ საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს. ვიგრძენით, რომ კვლავაც საჭიროა ურთიერთმოქმედება, მეცადინეობის გაერთიანება მშვიდობისათვის, განიარაღების, საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში. საც რომ, როგორც ხედავთ, ვიზიტი კარგად დავიწყეთ.

ბელგრადის სკუპშჩინის „ოქროს წიგნში“ გენერალურმა მდივანმა ჩაწერა: „დაე დღეს დარგული ხე გაიზარდოს ისეთივე მაგარი და სიცოცხლემედეგი, როგორიცაა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობა, რომელმაც ყველა განსაცდელს გაუძლო“.

• • •

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელების მოლაპარაკება.

მ. ს. გორბაჩოვსა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. კრუნჩს შორის გაიმართა აზრთა საფუძვლიანი, დაინტერესებული გაზიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის საქმიანობის აქტუალურ საკითხებზე, ორი პარტიისა და ქვეყნის ურთიერთობის მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებზე, თანამედროვეობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკვანძო პრობლემებზე.

• • •

იმავე დღეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ფედერაციის პალატაში მ. ს. გორბაჩოვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ა. მედვედევის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. მოისოვის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბ. კრუნჩის თანდასწრებით გაიმართა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დეკლარაციის მიღების ცერემონია.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის 2000 წლამდე პერიოდის გრძელვადიან პროგრამას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ს. სილაევმა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეიჩის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ზემლიარჩმა.

ხელი მოაწერეს აგრეთვე შეთანხმების მოსკოვში და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საინფორმაციო-კულტურული ცენტრის შესახებ და შეთანხმების განათლებისა და სამეცნიერო ხარისხების დოკუმენტების ურთიერთცნობის შესახებ.

• • •

ნაშუადღევს მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო მანქანათმშენებელი გაერთიანების მუშაობას, რომელიც ატარებს იუგოსლავიის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ხელმძღვანელის, 1943 წელს დაღუპული ივო ლოლა რიბარის სახელს. გაერთიანებაში, რომელსაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია უნიკალური ლითონდამუშავებელი მოწყობილობისა და მისი ელექტრონული მართვის სისტემების, მათ შორის პერსონალური კომპიუტერების წარმოებაში, — შედეს შეიდი დიდი დამოუკიდებელი წარმოება. საბჭოთა საწარმოები და ორგანიზაციები გაერთიანების უმნიშვნელოვანეს საგარეო-სავაჭრო პარტნიორთა შორის არიან.

რიეხეული პროგრამული მართვის ჩარხებიდან, დამმუშავებელი ცენტრების, სამრეწველო რობოტების საწარმოო საამქროს დათვალიერების შემდეგ გაიმართა შეხვედრა გაერთიანების თვითმმართველობის ორგანოების, ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

მიესალმა რა საბჭოთა ხელმძღვანელს, გენერალურმა დირექტორმა მ. მილოვეჩმა თქვა: ჩვენი კოლექტივი ამაყობს იმით, რომ მისი მრავალი ჩარხი და მოწყობილობა მუშაობს საბჭოთა ქარხნებში. და ეს თანამშრომლობა ვითარდება. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ დაჯერდეთ მიღწეულს.

შეხვედრაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი. მან თქვა: ჩვენი პარტიებისა და ხალხების, ორი ქვეყნის მუშათა კლასის მეგობრობა, — აი რა უდევს საფუძვლად იუგოსლავიის მიწა-წყალზე ყოველ შეხვედრას. სწორედ ამიტომ ჩვენი კონტაქტები აღსავსეა გულთბილობით, გულწრფელობით, კეთილმოსურნეობით. მიხდა აღგითქვათ, რომ საბჭოთა ადამიანები — კომუნისტებიც, უპარტიოებიც, მოზრდილები და ახალგაზრდები — ერთგულობენ ამ მეგობრობას, უფრთხილდებიან მას. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ დაეცვათ იგი, და ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ იგი მტკიცდებოდეს. შეგიძლიათ ამაში დარწმუნებული იყოთ.

თქვენ შეგიძლიათ შრომა. გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს. თქვენი პროდუქცია გამოიყენება მოსკოვის, მინსკის, მრავალი სხვა ქალაქის საწარმოებში. რა გაკვირვება პოვა ჩვენმა თანამშრომლობამ? ვფიქრობ, რომ იგი ასარგებლო თქვენთვისაც, ჩვენთვისაც, რადგან შესაძლებლობას გვაძლევს ერთად, ხელიხელჩაკიდებულებმა, მხარდამხარ გადავწყვეტოთ წინსვლის ამოცანები.

მეგობრობის პარკში მშვიდობის ნერგის დარგვის დროს.
სკკპ-ს-საინფორმის ტელეფოტო.

საუბარი კრემლში

15 მარტს ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვეულით მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ამ პალატის თავმჯდომარის ჰორსტ ზინდერმანის მეთაურობით.

საუბარმა ჩაიარა გულითად, მეგობრულ ვითარებაში, რაც ახასიათებს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმურ ურთიერთობას.

საუბარს ესწრებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში გერდ კენიგი.

მეძღვნება ა. ს. მაკარენკოს ხსოვნას

ა. ს. მაკარენკოს დაბადების ასი წლისთავი იუნესკოს გადაწყვეტილებით ფართოდ აღინიშნება ბევრ ქვეყანაში. მის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა სახეიმო კრება, რომელიც გაიმართა 15 მარტს კაკშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. ვორონტნოვი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

სახეიმო კრება გახსნა სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ა. იაგოდინმა.

მოხსენება „ა. ს. მაკარენკოს წვლილი პედაგოგიკის მეცნიერებაში“ გააკეთა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ეიცე-პრეზიდენტმა ი. დ. ზეტრეევმა.

„სიტყვა ა. ს. მაკარენკოს შესახებ“ წარმოთქვა რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ვ. ალექსინმა.

ახალგაზრდობის შესანიშნავი აღმზრდელის ისტორიულ როლზე ილაპარაკეს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, ნოვატორი პედაგოგის მოწაფეებმა და მიმდევრებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სამშაბათ მეურნეობისა და ხელოვნების მრეწველობის მართვის ძირეული გარდაქმნის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შექმნა სსრ კავშირის ტყის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სატყეო მეურნეობისა და ხელოვნების ბაზაზე და სსრ კავშირის ხეტყის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო სსრ კავშირის ხეტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბაზაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. გ. ა. ზგერსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებში უმწიკლო, ნაყოფიერი სამსახურისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის ოფიცერთრშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი **გენადი ანატოლის ძე ზგერსკი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. ჯინჭარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ქვარაცხელია.

თბილისი. 1988 წლის 10 მარტი.

საბჭოთა ხალხისადმი კეთილი გრძნობების გამოხატვა

ბელგრადი, 15 მარტი (საქინფორმი სპეც. კორ.). დღის ფედერაციის პალატაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პატივსაცემად იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმმა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სადილი გამართეს.

...ში, იმ მეცადინეობაში, რომლის მიზანია კლიმატის საერთო შეცვლა საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს, ჩვენი აზრით, იმ შორსგამიზნული ცვლილებების არსია, რომლებიც თქვენს ქვეყანაში გარდაქმნის პოლიტიკამ გამოიწვია.

ასევე ვიხილავთ პროცესებს, რომლებიც გლობალური მასშტაბით მიმდინარეობს როგორც საერთაშორისო ...

... ძლება სწრაფად აღმოვფხვრათ დაბრკოლებანი მთლიანად ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების გზაზე.

მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგში, ინფორმაციის დარგში ჩვენს თანამშრომლობაში მიღწეული შედეგები შეიძლება უკეთესი იყოს. ...

— ჩვენ, ჩვენ — თქვენ, უნდა შეიცვალოს უფრო მომწიფებული ურთიერთობით, რასაც საფუძვლად დაედება მეცადინეობის გაერთიანება, ერთმანეთის ძლიერი მხარეების გამოყენება, კოოპერაცია. კოოპერაცია დროის ნამდვილი სიმბოლოა.

ალბათ, იუგოსლავ ამხანაგებთან ჩვენს საუბრებში ძირითადი ადგილი დაიკავა ღლეისათვის ...

...

ლაბდილად და კრიტიკულად ვლაპარაკობთ განვითარების დღევანდელ ეტაპზე ჩვენში არსებულ მრავალ სიძნელეზე. სხვების გამოცდილება ყოველთვის ამდიდრებს საკუთარ ფიქრებს. დიდი ინტერესითა და მადლიერებით ადევნებენ თვალს ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირში მიმდინარე ახალ პროცესებს. დიდად ვაფასებთ თქვენს პირად წვლილს, ამხანაგო გორბაჩოვ, სოციალისტური აზრისა და საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის დემოკრატიული განვითარების პრაქტიკის საგანძურ...

ჩვენ ყოველთვის შეგვეძლო მივაწიოთ მეტს, განსაკუთრებით მომავალ წლებში. მხედველობაში მაქვს სიმძლავრეები და რესურსები, ორი ქვეყნის სახალხო მეურნეობების საქმით დამტკიცებული ურთიერთშევსება, შემოქმედებითი პოტენციალი, რომ უფრო დინამიკური ფორმები გამოვძებნოთ ეკონომიკურ, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაში, რომლებიც უფრო შეესაბამებიან მსოფლიოს განვითარების თანამედროვე პროცესებს. ამ კონტექსტით თავისთავად დგება აუცილებლობა, რაც შეი...

...ილი ათწლეულების მანძილზე შეძენილ მდიდარ გამოცდილებას, მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ჩვენს გარემომცველ სამყაროში.

შემოქმედებითად ვეძებოთ ახალი წყაროები და დავამყაროთ ურთიერთკავშირი, გავამრავალფეროვნოთ ერთობლივი მეცადინეობის ფორმები — ასეთია ჩვენი საერთო ზრახვები.

თუ ვილაპარაკებთ ეკონომიკაზე, დადგა დრო, როცა კავშირი, რომელიც აგებულია უმაღლეს ტექნოლოგიების პრინციპზე თქვენ ...

... ახლა პირველი, თუმცა ჯერ კიდევ პატარა ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა. მაგრამ მას რომ სხვა ნაბიჯები მოჰყვეს, საჭიროა ყველასა და თითოეულის დიდი პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

ჩვენ გულახდილად, აშკარად გამოვთქვამთ ნეგატიურ დამოკიდებულებას დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური ძალის იმ ცდებისადმი, მოახდინონ დაწყებული განიარაღების კომპენსაცია ახალი დამატებითი შეიარაღებით.

თუმცა, საკმარისია ამაზე სიტ...

... მუნისტთა კავშირს, მოძმე იუგოსლავ ხალხს წარმატებას ყველა მათს საქმესა და წამოწყებაში, — თქვა დასასრულ მ. ს. გორბაჩოვმა.

• • •

ლ. მოისოვისა და მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებს დამსწრენი ტაშით შეხვდნენ. სიტყვების დამთავრების შემდეგ შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

სადილის შემდეგ, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გამართა იუგოსლავიის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

ა. პ. ბირიუკოვა საქართველოში

16 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. ბირიუკოვა ჩავიდა ქუთაისში, სადაც გაეცნო იმას, თუ როგორ სრულდება პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებიც ითვალისწინებენ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, აგრეთვე საქალაქო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციას, საერთოდ დარგის გარდაქმნის ...

სოციალური პროგრამის გადაწყვეტის დიდ მნიშვნელობას. ნელა შენდება, მაგალითად, საბავშვო ბაგა-ბაღი, საერთო საცხოვრებელი, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი, კულტურის სახლი, პოლიკლინიკა. ჯერ კიდევ დიდია უბინაოთა რიცხვი — 756 ოჯახი.

თუმცა დღის ბაზარი უხვად არის წარმოდგენილი მასობრივი მოთხოვნის ნაწარმით, ხაზგასმით აღინიშნა კოლექტივის წარმომადგენლებთან საუბრების დროს, მწვავედ იგრძნობა საუკეთესო ...

ქუთაისელ ... აღინიშნა ... თავს. ამ ხნის განმავლობაში, იგი ნახევრად კუსტარული საწარმოდან გადაიქცა დიდ მაღალმექანიზებულ საწარმოდ, რომელიც ყოველწლიურად უშვებს 36 მილიონი მანეთის 60 დასახელების პროდუქციას. მასზე სტაბილური მოთხოვნაა რუსეთის, უკრაინის, უზბეკეთის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქებსა და სოფლებში.

მაგრამ გაერთიანების წინაშე ...

სურათზე: თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში" ყოფნისას.

(საქინფორმი).

მუშაობს. კოოპერატივი სპეციალიზდება ისეთი პროდუქციის გამოშვებაზე, როგორიც არის მამაკაცის ქურთუკები, შარვლები, ქალის ბლუზები, საბავშვო კოსტიუმები და ა. შ. გასული წლის სექტემბრიდან, როცა დაარსდა კოოპერატივი, აქ ...

აღინიშნა, რომ მოთხოვნა უფრო მკვეთრად იცვლება, ვიდრე პროგნოზები. მაშასადამე, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ უკეთ უნდა შეისწავლოს ადამიანთა მოთხოვნილებანი. ფულადი შემოსავალ-გასავ...

...

ნახმარი საჭიროების კი ადგილობრივ ... ტურებს, რომლებიც ვეტერანებთან და ახალგაზრდობასთან მქონდა.

საჭიროა უფრო ფართოდ გამოიყენოთ სახელშეკრულებო ფასების მექანიზმი, გააუმჯობესოთ იმ შრომითი კოლექტივების სტიმულირება, რომლებიც უმაღლესი ხარისხის ნაწარმს უშვებენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გაერთიანების დირექციის, მისი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო კოლექტივის განვითარების ...

(საქინფორმი).

სამშობლოს სადიდებლად, საბჭოთა სპორტის სასახელოდ

15 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებთან — ზამთრის ოლიმპიადის მონაწილეებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, პ. ნ. დემიჩევი, ა. ი. ლუკიანოვი.

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ...

... ტსმენმა მოიპოვა ოლიმპიური ჯილდოები. აღინიშნა, რომ ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციებს სპორტის ზამთრის სახეობების შემდგომი განვითარებისათვის დიდი რეზერვები აქვთ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე გამოვიდნენ საბჭოთა ოლიმპიური გუნდის წევრები ...

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში შეხვდნენ საბჭოთა სპორტსმენებს — ზამთრის XV ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებს

... რენცია ოლიმპიელთა არა მარტო სპორტულ მომზადებაში, არამედ ტექნიკურ აღჭურვაშიც. დღეს შეიძლება და უნდა ითქვას კიდეც სპორტსმენების, მწვრთნელების ...

... მურო სპორტისათვის ისეთივე პირველი კლასის ნაგებობები, როგორიც არის სახელგანთქმული მედეო ალმა-ათის მახლობლად.

— ორმაგად სიმბოლურია, — თქვა სსრ კავშირის ოლიმპიური ...

... რი ბაზა, გავზარდოთ საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობის წარმოება, მეტი ყურადღება დავუთმოთ ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტულ სკოლებს, უფრო ენერგიულად გავუწიოთ პროპაგანდა სათხილამურო სპორტს.

შეხვედრაზე გამოსულმა ესტრადის მსახიობმა გ. ხაზანოვმა, ...

... სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით კალგარის ზამთრის XV ოლიმპიურ ასპარეზობაზე ბრწყინვალე გამოსვლისათვის.

ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი ცვლილებების, გარდაქმნის ...

...

9 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი. ეს საბჭოთა სპორტსმენების უველაზე მნიშვნელოვანი წარმატებაა ზამთრის ოლიმპიადებზე გამოსვლის ისტორიაში.

ყველაზე წარმატებით კი ჩვენი ოლიმპიელები გამოვიდნენ სათხილამურო სპორტში, ფიგურულ ციგურაობაში, ჰოკეიში, ბიატლონსა და ბობსლეიში. 54-მა სპორ...

... ვართ. დადგა დრო დაისვას საკითხი სპორტის სასახლეებთან სპეციალიზებული საციგურაოების მშენების შესახებ, თორემ ათასობით ბიჭუნასა და გოგონას, რომლებიც ოცნებობენ გახდნენ ჩემპიონები, ყინული არ ჰყოფნის.

ბობსლეიში ოლიმპიური ჩემპიონის რიგელე ი. კიპურსის გამოსვლაში აღინიშნა მზარდი კონკუ...

... ლომეტრს გადიოდნენ, ისახავდნენ მაღალ მიზნებს და მიაღწიეს კიდეც მათ. დღეს უნდა ვიფიქროთ მომავალზე, თქვა მოთხილამურეთა გუნდის კომორგმა. ბუნებრივი პირობებით ჩრდილოეთ ყაზახეთი არ ჩამოუვარდება ზამთრის სპორტის მსოფლიო ცენტრებს. აქ შეიძლება გვქონდეს სათხილა...

... კავშირის ნაკრები გუნდის სახელმწიფო მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ივანოვმა თქვა, რომ ქვეყანაში სპორტის ზამთრის სახეობათა აქტიური განვითარების, საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების ყველა შესაძლებლობაა. ამისათვის სერიოზულად უნდა განვამტკიცოთ მატერიალუ...

... მართვის გამუქებისათვის დიდ მუშაობასთან ერთად უშვებდნენ სუბიექტივიზმს, თავს გვახვევდნენ დაუსაბუთებელ აზრებს.

მამათა რა საბჭოთა ოლიმპიელებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა მათ ...

... ლად ატარეს ჩვენი სამშობლოს დროშა, თავი გამოიჩინეს საბჭოთა ქვეყნის ნამდვილ პატრიოტებად და მოქალაქეებად. დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ აგრეთვე მწვრთნელებს, ყველა სხვა სპეციალისტს, რომლებმაც გამარჯვებამდე მიიყვანეს საბჭოთა გუნდი. შთამბეჭდავი გამოსვლებით, ქცევით თქვენ მოიპოვეთ კანადის ...

... ლური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმზე, რომელმაც განიხილა უმაღლესი და საშუალო სკოლის რეფორმის მიმდინარეობა, გარდაქმნის პოლიტიკის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანები. არის სხვა პრობლემებიც სპორტში, ფიზკულტურულ მოძრაობაში. ხშირად გვაკლია თვითკრიტიკული შეფასება, ხში...

... პირველი მოადგილე ვ. ს. მურახოვსკი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ს. ა. შალაევი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. მირონენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. (საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

პაატა ბურჭულაძე პარიზში

14 აპრილს პარიზის თეატრ „გრანდ ოპერის" სცენაზე დაიწყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, საერთაშორისო კონკურსების, საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტის პაატა ბურჭულაძის გასტროლები. ქართველმა მომღერალმა მეფე ბორისის პარტია შეასრულა მ. მუსორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვში", რომლის ახლანდელი დადგმა სპეციალურად ქართველი მომღერლისათვის განხორციელდა.

ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა პარიზს.

— სპექტაკლის საშემსრულებლო ანსამბლი ინტერნაციონალურია ,— გვითხრა პ. ბურჭულაძემ, დირიჟორია „გრანდ ოპერის" მთავარი დირიჟორი ლოთარ ზაგოსეკი, რეჟისორული გადაწყვეტა ეკუთვნის რუმინელ პეტრი იონესკოს. პარტნიორთაგან უნდა აღვნიშნო ფრანგი ნადინ დენისი, რომელმაც მარინა მნიშეკის პარტია შეასრულა და პიმენის შემსრულებელი, ინგლისელი ჯონ კომილსონი. ფრანგი მსმენელი აღაფრთოვანა რუსული საოპერო ხელოვნების შედევრმა. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. სპექტაკლს ესწრებოდა სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში.

ბორისის პარტიის შესრულებით პ. ბურჭულაძის გასტროლი პარიზის საოპერო სცენაზე ერთ თვეს გასტანს, მომღერალი კიდევ რვაჯერ იმღერებს ამ ურთულეს ვოკალურ პარტიას. მომღერლის მოსასმენად ავსტრიიდან პარიზს ჩავიდა „პაატა ბურჭულაძის კლუბის" პრეზიდენტი.

11 აპრილს პარიზის ერთ-ერთი შესანიშნავი თეატრის „ტეატრო ატენეს" სცენაზე გაიმართება პ. ბურჭულაძის სოლო კონცერტი. მომღერალი პარიზელი მელომანების წინაშე წარდგება კამერული რეპერტუარით.

პაატა ბურჭულაძის გამოსვლა ევროპის ერთ-ერთი უდიდესი საოპერო ცენტრის, თეატრ „გრანდ ოპერის" სცენაზე მისი ნიჭის, პროფესიული ოსტატობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

▼ ▼

ჩაიოტი — კიტრის მეტოქე?

კიდევ ორი ჰექტარი გამოუყვეს ახალ ტროპიკულ კულტურას — ჩაიოტს გაგრის ზონის კოლმეურნეობა „მეგობრობაში".

მექსიკური ენდემი ჩაიოტი ჯერჯერობით იშვიათად შედის რესპუბლიკის ბოსტნეული კულტურების ასორტიმენტში, მაგრამ იქ, სადაც დამკვიდრდა, მაშინვე პოპულარული გახდა. უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ გემოთი და ყუათიანობით არათუ არ ჩამოუვარდება საუკეთესო ჯიშის კიტრს, არამედ მრავალი თვისებით სჯობნის კიდეც.

ეს მრავალწლოვანი მცენარე მედეგია დაავადებებისა და მავნებლებისადმი, არ სჭირდება განსაკუთრებული მოვლა, მხოლოდ ინტენსიურ რწყვას მოითხოვს, თანაც უხვ მოსავალს იძლევა. მისი ნაყოფის დაკონსერვებაც შეიძლება. უფრო მეტიც, რამდენიმე თვის განმავლობაში არ კარგავს ყუათიანობას.

ჩვენს რესპუბლიკაში ჩაიოტი პირველად გაგრის ზონის კოლმეურნეობა „მეგობრობაში" დათესეს. ქართული სუბტროპიკებისათვის ახალი კულტურის მოვლა-მოყვანის ინიციატორი გახდა საქართველოს სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

ამ სითბოს მოყვარული მცენარის ნაყოფისაგან კონსერვების წარმოებაში პირველი ნაბიჯი გადადგა შარშან გორის საკონსერვო კომბინატმა. აქ ექსპერიმენტული წესით გამოუშვეს დახლოებით ორმოცდაათი ათასი პირობითი ქილა „ხიზილალა", პამიდორში მოხრაკული ნაყოფი, აგრეთვე ჩაიოტის მწნილი.

▼ ▼

ზონალური თათბირი

ბორჯომში სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ფილარმონიული კოლექტივების წარმომადგენლებმა, აგრეთვე „საკონცერტოს" (მოსკოვი) პასუხისმგებელმა მუშაკებმა განიხილეს მშრომელთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში ფილარმონიების მუშაკთა წინაშე მდგომი ამოცანები. განიხილეს აგრეთვე გასვლითი გასტროლების მოწყობის, ვოკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივების რეპერტუარის შემდგომი სრულყოფის საკითხები.

▼ ▼

კაპიტანი კრებამ აირჩია

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელობამ ხომალდ „ანაკლიის" ეკიპაჟს მიანდო წამოეყენებინათ კაპიტნის კანდიდატურა. მათ ლ. სეიდოვი მოითხოვეს. ყმაწვილი იყო, როცა იგი ბათუმის საზღვაო სასწავლებელში ჩაირიცხა. წარჩინებით დამთავრების შემდეგ ნოვოროსიისკის საზღვაო ფლოტის საინჟინრო უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო. ამას მოჰყვა ფლოტში მუშაობა, ხოლო 1967 წლიდან, როგორც კი საქართველოს საზღვაო სანაოსნო შეიქმნა, ახალშექმნილ სანაოსნოში გადმოდის. კარგა ხანი მუშაობდა გემის კაპიტნის უფროსის თანაშემწედ, ხოლო ბოლო წლებში „აქტაუსა" და „ანაკლიის" შემცვლელ კაპიტნად. ასე გაიცნეს „ანაკლიელებმა" ლ. სეიდოვი, საქმემ, ზღვებისა და ოკეანეების ტალღებთან ბრძოლამ დააახლოვა ისინი. და აი, როცა კაპიტნის ადგილი განთავისუფლდა, ეკიპაჟმა ლ. სეიდოვი დაასახელა. კრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა კანდიდატურას, ხომალდი შორეულ ცისფერ გზას დაადგა.

▼ ▼

განსაცდელიდან იხსნეს

გაზაფხულის სუნი იგრძნო დედამიწამ, ალაგ-ალაგ ყოჩივარდებმაც ამოყო თავი. მოშიებიც მოფრინდნენ და თითქოს გაზაფხული თავის მოსვლას კვირტთა ერთიანი აფეთქებით, სიცოცხლის განახლებით გვამცნობდა, მაგრამ მარტი რის მარტია, თუ თავისი პირველი ხასიათი არ გამოამჟღავნა. 4-5 მარტს ღამით, თბილისიდან მანგლისისაკენ მიმავალი გზა თოვლის დიდი ფენით დაიფარა. ძლიერმა ქარმა რამდენიმე კილომეტრზე თოვლის გორები დააყენა. გაჭირდა მგზავრობა, ბოლოს მთლიანად შეწყდა. თოვლის საფარის სიმაღლე სწრაფად იზრდებოდა. მდგომარეობა საგანგაშო გახდა — განსაცდელში აღმოჩნდა სამი მსუბუქი ავტომანქანა, ხუთი მოქალაქე.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომში შეიქმნა სტიქიასთან მებრძოლი ოპერატიული ჯგუფი. მას სათავეში ჩაუდგა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ლ. ნადირაძე. დასახმარებლად მოვიდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებიც. დახმარება დროული აღმოჩნდა — გადარჩნენ უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანებიც და მანქანებიც. გზა გაიწმინდა, მოძრაობა განახლდა და ვითარება ჩვეულ, ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

▼ ▼

ატესტაცია გარდაქმნის გზაზე

პედაგოგი არა მარტო აღმზრდელია, არამედ სოფლის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელიც არის. იგი ჩირაღდანია, რომელიც იწვის და გზას უნათებს სხვას. ადამიანი, რომელსაც ასეთი მისია აკისრია, ყოველმხრივ ერუდირებული და მომზადებული უნდა იყოს. ამას ამოწმებს საატესტაციო კომისია.

რა გამოავლინა ხულოს რაიონში ახლახან მოწყობილმა პედაგოგთა ატესტაციამ? 387 პედაგოგიდან, რომლებმაც ამ ეტაპზე გაიარეს შემოწმება, წახალისდა 157, მეთოდისტის წოდება მიენიჭა 10, უფროსი მასწავლებლისა — 20 პედაგოგს, 123 მასწავლებელი საქართველოსა და აჭარის განათლების სამინისტროთა სიგელებით დაჯილდოვდა, ხოლო 34 მასწავლებელს „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი გადაეცა. ყველამ ვერ უპასუხა იმ მოთხოვნებს, პედაგოგის წინაშე რომ დგას. პროფესიისათვის შეუფერებლად ჩათვალეს 2 პედაგოგი, ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად რეკომენდაციები მიეცა 23 მასწავლებელს.

გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების წლიური სესია

ქვეყანაში დაწყებული გარდაქმნის წარმატება ბევრად შეიძლება გარანტირებული იქნეს ყველა მიმართულებით ფუნდამენტური მეცნიერების ეფექტიანობის მკვეთრი გადიდებით. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების წლიური სესია, რომელიც 15 მარტს მოსკოვში გაიხსნა, ამ მნიშვნელოვან მუშაობაში საბჭოთა მეცნიერების მრავალმილიონიანი რაზმის ძალების პასუხსაგები დათვალიერებაა. მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მეცნიერებათა აკადემიის ამოცანების შესახებ გააკეთა აკადემიის პრეზიდენტმა გ. ი. მარჩუკმა.

გარდაქმნის თანამედროვე ეტაპი, თქვა პრეზიდენტმა, მოითხოვს ყველა დონის კადრების — მუშითა და კოლმეურნით დაწყებული და საწარმოს ხელმძღვანელით, მეცნიერით, კულტურის, სახალხო განათლებისა და უმაღლესი სკოლის მუშაკით დამთავრებული —, მომზადებისა და უწყვეტი გადამზადების ახალ მეთოდებსა და ფორმებს. არსებითად, დგება საკითხი კადრების მომზადებისა და განათლების მთელი სისტემის ძირეული გარდაქმნის შესახებ. ამ მნიშვნელოვან საქმეში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება მეცნიერებას.

საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია, რადიკალური ეკონომიკური რეფორმა ზუსტ მოქმედებას მოითხოვს დღესაც, მომავალშიც. საჭიროა უკვე ახლა, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის წინ მოვიფიქროთ, განვიხილოთ ზოგიერთი პრინციპული საკითხი, თუ რა როლს ასრულებს მეცნიერება ჩვენი ქვეყნის შემდგომ განვითარებაში, როგორ იზრდება მისი წვლილი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში, ადამიანის — ყველა გარდაქმნის აქტიური მონაწილის, მშრომელი ადამიანის ფორმირებაში, რომელსაც აქვს ახალი აზროვნება, ყოველმხრივ განვითარებულია და ღრმად ესმის საზოგადოებრივი განვითარების პრობლემები.

შემდეგ ცოდნის სხვადასხვა დარგში მეცნიერების განვითარების გასული წლის ძირითადი შედეგები მიმოიხილეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებმა და პრეზიდიუმის სექციების ხელმძღვანელებმა. მოისმინეს აგრეთვე მოხსენება საანგარიშო პერიოდში აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ.

მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების წლიური სესია მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

როგორც ვიუწყებოდით, ამა წლის 19 მარტს გაიმართება რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია. კონფერენცია გაიხსნება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, დღის 2 საათზე. დელეგატების რეგისტრაცია მოეწყობა იქვე, დილის 11 საათიდან. კონფერენცია განიხილავს საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემუშავებული წესდების პროექტს, რომელიც გამოქვეყნდა საჯარო განხილვისათვის გაზეთ „კომუნისტის" 14 თებერვლის ნომერში და ცხოველი განსჯის საგნად იქცა.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და რედაქციას თავიანთი მოსაზრებები გამოუგზავნეს როგორც სპეციალისტებმა, ასევე სხვადასხვა დარგის მუშაკებმა, ახალგაზრდობამ. რედაქციამ ზოგი მათგანის წერილი და წინადადება უკვე გამოაქვეყნა, ახლა კი მორიგ ნაკრებს გთავაზობთ:

რუსთაველის საზოგადოება და დემოგრაფიული საკითხი

რუსთაველის საზოგადოების წესდების პროექტში აღნიშნულია, რომ საზოგადოება „ავლენს, სწავლობს და მხარს უჭერს მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლო ინიციატივებს სოციალურ-კულტურულ სფეროში, განსაკუთრებით, როცა ისინი უშუალოდ უკავშირდება ქართული ენისა და ლიტერატურის, საერთოდ ქართული კულტურის, ისტორიის, კულტურის ძეგლთა დაცვის, ეკოლოგიის, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების, ხალხთა დაახლოებისა და სხვა ანალოგიურ საკითხებს, ხელს უწყობს მათს განხორციელებას".

მაშასადამე, ჩვენ პირველად გვაქვს საქმე ისეთი ფართო პროფილის საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთი საზოგადოების დაარსებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ჩვენი ერის სულიერ და კულტურულ განვითარებაში. სწორედ ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ პრაქტიკულ წინადადებას, მოსაზრებას, რომელიც ხელს შეუწყობს რუსთაველის საზოგადოების ამოცანების სწორად განსაზღვრას, იმ პროგრამების შემუშავებას, რომელთა განხორციელებისათვის იქმნება ეს ორგანიზაცია.

ჩვენ ყურადღებას დემოგრაფიულ საკითხზე შევაჩერებთ.

1985 წლიდან ქართველი მწერლები ვაყენებთ საკითხს რესპუბლიკაში ნებაყოფლობითი დემოგრაფიული საზოგადოების დაარსების შესახებ, რომელიც მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით ერთიან ორგანიზაციულ სისტემაში გააერთიანებდა დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების ცალკეულ ღონისძიებებს, ექნებოდა მოქმედების ერთიანი პროგრამა და გეგმაზომიერი, სისტემატური მუშაობის საშუალება.

გაზეთ „თბილისის" 1988 წლის 1 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ქართველ მწერალთა ერთობლივი წერილი, რომელშიც დასახულია რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების მთელი პროგრამა. მისი ამოსავალი წერტილია საკითხისადმი რეგიონალური მიდგომის პრინციპი. დემოგრაფიული საკითხისადმი რეგიონალური მიდგომა ერთადერთი სწორი მეცნიერული მეთოდია, ნათქვამია წერილში.

გაზეთ „პრავდის" 1987 წლის 27 თებერვლის ნომერში მთელი გვერდი აქვს დათმობილი დემოგრაფიულ საკითხს, რომლის დედააზრი ძირითადად თანხვდება ქართველ მწერალთა წერილში გამოთქმულ მოსაზრებებს, მათ შორის რეგიონალურ საკითხშიც. „მაგრამ სამართლიანია ჩვენი მკითხველების მიერ საკითხის ასე დაყენებაც: საჭიროა რეგიონალური პროგრამები „დიდი ოჯახი", — აღნიშნავს გაზეთი სარედაქციო დასკვნაში.

სამწუხაროა, რომ იმ დროს, როცა სხვა რესპუბლიკები უკვე აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას დაადგნენ, ჩვენ ვყოყმანობთ და ნებაყოფლობითი დემოგრაფიული საზოგადოების შექმნის საკითხი კვლავ გადაუწყვეტელია.

ყველასათვის ცნობილია დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების ის ღონისძიებანი, რომლებიც რუსეთის ევროპულ ნაწილში, არაშავმიწანიადაგიან ზონაში ხორციელდება. ესეც დემოგრაფიული საკითხისადმი რეგიონალური მიდგომის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია.

ქართველ მწერალთა ერთობლივ წერილში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია განხორციელდეს შობადობის სტიმულირების ეკონომიკური ღონისძიებანი. სწორედ ამას ვეხებოდით გაზეთ „თბილისის" 1988 წლის 5 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „შევქმნათ დემოგრაფიული ფონდი".

შობადობის სტიმულირების ეკონომიკური ღონისძიებანი მიღებულია ჩვენს ქვეყანაშიც, კაპიტალისტურ და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებშიც.

გაზეთი „იზვესტია" 1988 წლის 5 მარტის ნომერში წერილით „მამა, დედა, მე და დემოგრაფია" გვაცნობს ჩეხოსლოვაკიაში შობადობის სტიმულირების სისტემას, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეკონომიკურ ღონისძიებებს ეთმობა.

აღსანიშნავია, რომ ჩეხოსლოვაკიაში შობადობის ზრდა უშუალოდ უკავშირდება იმ სოციალურ პოლიტიკას, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება მრავალშვილიანობის წასახალისებლად.

ჩეხოსლოვაკიაში დედის დეკრეტული შვებულება 28 კვირას გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში იგი იღებს ხელფასის 90 პროცენტს. დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ სამი წლის განმავლობაში (თუ არ გავა სამსახურში) იღებს ყოველთვიურ დახმარებას 800 კრონის (80 მანეთი) ოდენობით. გარდა ამისა, მამა სამსახურში იღებს ხელფასის დანამატს შვილებისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვის დაბადებისას ოჯახს ეძლევა 2000 კრონი ერთდროული დახმარება, ნათელი იქნება, რა როლს ასრულებს ეკონომიკური დახმარების სისტემა ჩეხოსლოვაკიაში შობადობის ზრდაზე.

ამ ღონისძიებებს ახორციელებენ ის სახელმწიფოები და ხალხები, რომლებიც ჩვენზე ბევრად მრავალრიცხოვანი არიან და რომელთაც ფიზიკური გადაშენების საფრთხე არ ემუქრებათ.

რესპუბლიკაში დემოგრაფიულ სიტუაციას აუარესებს ფეხმოკიდებული მანკიერებანი: ნარკომანია და პროსტიტუცია. სამწუხაროდ, ჩვენი დედების დიდ ნაწილს მეტად მცირე დრო რჩება ოჯახთან, ბავშვებთან ურთიერთობისათვის. სოციოლოგების დაკვირვებით, მუშა-მოსამსახურე ქალების დროის სადღეღამისო ბიუჯეტი ასე ნაწილდება: სამუშაო დრო საშუალოდ 7 საათი და 57 წუთი, სამუშაოსთან დაკავშირებული დრო (მგზავრობა, შესვენება, ცვლის მიღება-ჩაბარება) — 1 საათი და 38 წუთი, ოჯახისათვის საჭირო პროდუქტისა და საქონლის შეძენა სამუშაო დღეს — 46 წუთი, არასამუშაო დღეს 1 საათი და 25 წუთი, დიასახლისობა სამუშაო დღეს 3 საათი და 13 წუთი, არასამუშაო დღეს — 6 საათი და 18 წუთი. იბადება კითხვა: რამდენი დრო რჩება ქალს ბავშვების აღზრდისათვის: 17 წუთი!

ოჯახში ბავშვის აღზრდის რა სისტემაზე შეიძლება ვილაპარაკოთ?! სამწუხაროდ, ჩვენი შვილების დიდი ნაწილი მშობელთა ყურადღების გარეშე რჩება და ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის სულიერი დეგრადაციისა.

მრავალშვილიანობის წასახალისებლად ეკონომიკური დახმარების ფორმების გამოყენება, სხვა სიკეთესთან ერთად, ახალგაზრდა დედას გამოუთავისუფლებს ბავშვების აღზრდისათვის საჭირო დროს, რაც საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებისათვის უნდა შემუშავდეს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, გატარდეს ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც იმოქმედებს რამდენიმე ათეული წლების მანძილზე. აქ არ უნდა შევუშინდეთ არავითარ წინააღმდეგობებს, არავითარ ხარჯებს, რადგან შობადობის სტიმულირებისათვის გაღებული თანხა ის კაპიტალია, რომელიც სახელმწიფოს მომავალში მისცემს მოგებას.

შეძლებს თუ არა რუსთაველის საზოგადოება სხვა დიდ ამოცანებთან ერთად წარმატებით გადაჭრას დემოგრაფიული საკითხიც?

ჩვენი აზრით, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა როლი განეკუთვნება დემოგრაფიულ საკითხს საზოგადოების საქმიანობაში, როგორი იქნება მისი სტატუსი და ვინ უხელმძღვანელებს ამ საქმიანობას.

რუსთაველის საზოგადოების წესდების პროექტში მითითებულია, რომ საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი გამგეობასთან შეთანხმებით სხვა განყოფილებებთან ერთად ქმნის დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების განყოფილებას.

ვფიქრობთ, განყოფილება ვერ შეძლებს ამ უაღრესად რთული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას. წარუმატებლობა ამ საკითხში კი იქნება მარცხი, რომლის გამოსწორება უახლოესი ათწლეულების მანძილზე ვერ მოხერხდება.

რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმს უნდა მიეცეს უფლება შექმნას „დემოგრაფიული ფონდი" და აირჩიოს გამგეობა.

დემოგრაფიული ფონდის გამგეობაში შევლენ ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები — მწერლები, მეცნიერები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები. ფონდის გამგეობა ავტომატურად უნდა შედიოდეს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში.

ვფიქრობთ, საზოგადოების პრეზიდიუმს არ გაუჭირდება იმ მოღვაწეთაგან, რომლებიც რესპუბლიკაში ნებაყოფლობითი დემოგრაფიული საზოგადოების დაარსებისათვის იღვწიან, შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატურა „დემოგრაფიული ფონდის" გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე.

ილია ბეგიაშვილი.

საშვილიშვილო საქმე

დიდ სასიკეთო ეროვნულ, საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი — დაარსდა რუსთაველის საზოგადოება. ჩვენს ქვეყანაში ცოტა როდია სხვადასხვა ხასიათისა და დანიშნულების საჭირო, სასარგებლო და თავის მოსაწონებელი საზოგადოება. სულ სხვა და განსაკუთრებული რუსთაველის საზოგადოება, მისი მასშტაბურობა, მისი უნივერსალურობა. რუსთაველის საზოგადოების სარბიელია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და კულტურული სინამდვილის ყველა სფერო.

რუსთაველის საზოგადოების ამოცანები ისე დიდია და მრავალსახოვანი, როგორც დიდი და თვალშეუდგამია რუსთაველის პოეზიის ბრწყინვალება.

გონივრულად არის მოფიქრებული და შედგენილი რუსთაველის საზოგადოების წესდების პროექტი. კონკრეტულად, საგნობრივად არის განსაზღვრული და მოხაზული საზოგადოების სამოქმედო პროგრამა. მთავარია ამ პროგრამით დასახული ფართო ამოცანების მატერიალიზაცია, ხორცშესხმა.

ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მესახება იმისათვის ზრუნვა, რომ ბოლოს და ბოლოს მასობრივი მკითხველი დავაკმაყოფილოთ, დავაპუროთ რუსთაველის დიადი წიგნით, საერთოდ ქართული წიგნით.

მე ხელთა მაქვს პარტიისა და შრომის თერთმეტი ვეტერანის ამაღელვებელი კოლექტიური წერილი. ისინი სამართლიანად ჩივიან, რომ ვერ პოულობენ შესაძენად „ვეფხისტყაოსანს", რომ ზოგი ვინმე (და ბევრი ვინმე) წიგნებს იყენებს ხელის მოსათბობ საშუალებად, სასპეკულაციოდ. უნდა სიმართლე ვაღიაროთ: დღეს წიგნის, მით უფრო კარგად გაფორმებული წიგნის მყიდველი და მკითხველი ძალზე ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე პირი არ არის. ცნება მყიდველი და მკითხველი დაშორიშორდა ერთიმეორეს. უნდა დამყარდეს სრული წესრიგი წიგნის გავრცელებისა და წიგნით ვაჭრობის დიდმნიშვნელოვან ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმეში. რუსთაველის საზოგადოება, ვიმედოვნებთ, ამაზეც იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას, მაგრამ მისი ამოცანები ოდნავადაც ვერ შეიზღუდება მარტოოდენ საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის" ფარგლებით. მისი საქმიანობის ასპარეზია მთელი ქართული ეროვნული კულტურა, ძველი თუ ახალი.

ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა ისიცაა, რომ ხელი შეუწყოს ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის შემდგომი გაღრმავებული შესწავლის გაშლას. რასაკვირველია, რუსთაველის საზოგადოება არ არის და არც შეიძლება იყოს საკვლევაძიებო ცენტრი ან სადისკუსიო კლუბი, მაგრამ იმან, რომ რუსთველოლოგიურ საკითხებზე საკადრისი დონის სამეცნიერო სესიების, სიმპოზიუმების თუ სემინარების ორგანიზაცია იკისროს, ეს წესდებითაც არის ნაგულისხმევი.

მოგეცათ ლხენა, დისკუსიები პაერივით გვჭირდება. დისკუსია საპატიო, სასიკეთო, სასიცოცხლო რამაა. ამა თუ იმ საკითხის გარშემო სერიოზული, საქმიანი სჯა-ბაასი, აზრთა შეხლა-შემოხლა, ცხარე პაექრობაც, კამათი — ჭეშმარიტების ძიების ერთადერთი ნაცადი გზაა. ოღონდ ვერც იმას დავფარავთ, რომ საჯაროობის ყველას მიერ საიდეალოდ აღიარების მიუხედავად, ჩვენში (და, რა თქმა უნდა, არა მარტო ჩვენში) სამისო კარგი ამინდი ჯერ რაღაც არ ჩანს. არ ჩანს სასურველი ატმოსფერო.

ჩვენს სინამდვილეში საკმაოდ გაიდგა ძირი და ფეხი მოიკიდა ზერელე, დილეტანტურმა, უკიდურესი სუბიექტივიზმით დაღდასმულმა, ადამიანის ღირსების დამამცირებელმა და შეურაცხმყოფელმა, ანგარიშსწორებისა და შურისძიების სულისკვეთებით გამსჭვალულმა კრიტიკანობამ, ჩასაფრებამ, ღვარძლიანმა გამოხდომებმა, ყველაფრის გაბიაბრუების უპრინციპო წადილმა.

ჩვენ გვაკლია პაექრობის, კამათის კულტურა.

სანიმუშოდ ერთ მაგალითს ვიკმარებთ. რუსთაველის საზოგადოების დაარსების საჭიროება თურმე იმანაც განაპირობა, რომ ვითომც ძლიერმა ეროზიამ მოიცვა რუსთველოლოგია, ვითომც ქართული მეცნიერების ეგზომ მნიშვნელოვანი დარგი გაიყინა, გამოიფიტა და დაავადდა უკურნებელი სენით. ჩემი, ჩვენი, ყველა ჩვენგანის უსაყვარლეს გაზეთში „კომუნისტში" ახალი წლის წინა სამახსოვრო დღეებში გამოქვეყნდა არა მარტო ცალკე პიროვნების, არამედ რუსთველოლოგთა მთელი საკრებულოს შეურაცხმყოფელი მკრეხელური წერილები. ასე, გაზეთის 23 დეკემბრის ნომერში ვკითხულობთ: „დრო მიდის, რუსთაველის ეროვნული და ზოგადკაცობრიული გააზრების მოცულობაც იზრდება. **რუსთველოლოგია კი დღემდე სულკურთხეული კორნელი კეკელიძის ეპიგონობას ვერ გამორებია**" (ავტორია ლევან სანიკიძე. კურსივი ჩემია, — ა. ბ.).

თუ ეს ნამდვილია, თუ განცხადებული სიმართლეს შეეფერება, დაუყოვნებლივ უნდა დაიხუროს ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება, უნდა დაიშალოს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, უნდა გაუქმდეს თბილისის უნივერსიტეტის „რუსთველის კაბინეტი". არ ვხუმრობ. დამოწმებული წერილით თუ ვიმსჯელებთ, ამ პრესტიჟულ სამეცნიერო ადგილებში თავი მოუყრიათ მხოლოდ კვლევა-ძიების მოჩვენე საეჭვო ეპიგონებს, რომელთაც სხვა საქმე არა ჰქონიათ რა, თუ არა, - ვაგრძელებ ციტატას,— „**ვეფხისტყაოსნის შინაარსის მოყოლა, აფორიზმების დეკლამაცია, ესე ამბავი სპარსულის მანიაკური ჩხრეკა და სხვანი მრავალნი მისთანანი**" (კურსივი კვლავ ჩემია,— ა. ბ.).

კაცი, მით უფრო მწერალი, ან მთლად ბრმა უნდა იყოს, ანდა მტრულად განწყობილი ნიჰილისტი, რომ ასე შეაფასოს თანამედროვე რუსთველოლოგია.

აღნიშნულთან დაკავშირებით უინტერესო არ იქნება იმის გაცნობა, თუ როგორ აფასებდა რუსთველოლოგიის ვითარებას თვითონ ის „სულკურთხეული კორნელი კეკელიძე", რომლის ეპიგონებად აცხადებს ნიჰილისტი ავტორი რუსთველოლოგიის სფეროში მომუშავე მკვლევართა მთელ აწინდელ თაობას.

კორნელი კეკელიძის გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე გამოქვეყნდა მისი უახლოესი მოწაფის და, მაშასადამე, ასევე მისი უახლოესი „ეპიგონის" ვრცელი მონოგრაფიული ნარკვევი შოთა რუსთაველზე. ალ. ბარამიძე. შოთა რუსთაველი (მონოგრაფიული ნარკვევი) თბილისი, 1958. შევსებული და შესწორებული სახით ეს წიგნი შემდეგ ორჯერ დაიბეჭდა (1966 და 1975 წლებში), სადაც შეძლებისდაგვარად და მეტ-ნაკლები სისრულით შეჯამებულ-განზოგადებულია რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების იმჟამინდელი შედეგები. კორნელი კეკელიძე გამოეხმაურა ამ ნაშრომს სპეციალური რეცენზიით, რომელიც დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის თანაავტორობით (იხ. კორნელი კეკელიძე, ეტიუდები. X, 1968, გვ. 284-287).

ბატონი კორნელი დიდად აფასებდა ამ ნაშრომს, ამბობდა, რომ მისი ავტორი გვთავაზობს რუსთველოლოგიის მთელი რიგი საკითხების „ორიგინალურ, პრინციპულად ახლებურ გადაწყვეტას" (გვ. 284). „ფართო განზოგადების საფუძველზე, — განაგრძობდა კ. კეკელიძე, — მონოგრაფია გვიქმნის სრულ წარმოდგენას პოემის (ვეფხისტყაოსნის) იდეურ-მხატვრულ ღირსებებზე" (გვ. 285). ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის „ყოველმხრივი ღრმა ანალიზის შედეგად" მკვლევარმა უცილობლად („неопровержимо — რეცენზია რუსულადაა დაწერილი, — ა. ბ.) დაასაბუთა, რომ: „მთელი ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს წმინდა ეროვნულ მოვლენას, XII საუკუნის საქართველოს ცხოვრების მაღალმხატვრული (ფორმით) ასახვას" (გვ. 285). რეცენზენტი „განსაკუთრებით საინტერესოს" უწოდებდა ნაშრომის იმ მონაკვეთს, სადაც ტიპოლოგიური შეპირისპირების წესით შესწავლილია რუსთაველის მახლობელი წინამორბედნი და თანამედროვენი ქართულსა და მსოფლიო ლიტერატურაში" (გვ. 286). მონოგრაფია „სავსებით დამარწმუნებლად ნათელყოფს", — ასკვნის კ. კეკელიძე, რომ რუსთაველის „მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია მაღალი ჰუმანიზმი" (გვ. 286).

ასეთია მოკლედ [illegible] კეკელიძის ავტორიტეტული აზრი რუსთველოლოგიური [illegible] ძიების დონის თაობაზე. ჩვენი მუშაობა მოიწონა რუსულმა ცენტრალურმა ლიტერატურულმა პრესამ („ვოპროსი ლიტერატური" (1959, № 2, გვ. 27-28; პროფესორ მ. ფეტისოვის სტატია); „ლიტერატურნაია გაზეტა" (1958 წ. 8 VII. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ლომიძის სტატია). იხ. აგრეთვე „ქართული ხელოვნების და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში" (თბილისი, 1960, გვ. 560-590. რუს.) და საზღვარგარეთულმა ქართველოლოგიურმა ორგანოებმა („ბედი ქართლისა — რევიუ დე ქართველოლოჟი", პარიზი, № 32-33, გვ. 150 ფრანგულ ენაზე; იგივე, № 41, 1983, გვ. 127-136; „გეორგიკა", 1978, გვ. 61-62; გერმანულ ენაზე; იგივე, 1983, გვ. 24-27; მდრ. ალ. ბარამიძე, მიმოწერა ვიქტორ ნოზაძესთან („ლიტერატურული საქართველო", 29. 1. 88). მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიისადმი" მიძღვნილ სპეციალურ რეცენზიაში ნათქვამია, რომ საუკეთესოა ამ ენციკლოპედიის წერილები რუსთაველზე, სერვანტესზე, შექსპირზე და ზოგიერთ რუს ავტორზე (ბ. ეგოროვი. მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიის გამოცემის დამთავრების გამო. „ლიტერატურნაია გაზეტა", 1973 წ. 17/1). მსოფლიო მასშტაბის დიდმა რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა დიმიტრი ლიხაჩოვმა ითავა სამი სამეცნიერო სიმპოზიუმის მოწყობა ლენინგრადსა და თბილისში. სიმპოზიუმები მიეძღვნა შუა საუკუნეების ქართულსა და რუსულ მწერლობას. ქართული მწერლობის სიმპოზიუმმა, ამბობს აკადემიკოსი ლიხაჩოვი „საქართველოში ფილოლოგიური მეცნიერების მაღალი დონე დაადასტურა. სიმპოზიუმზე მოსმენილმა მოხსენებებმა (მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსთველოლოგიიდან. ა. ბ.) სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდიკური თვალსაზრისით ბევრი მნიშვნელოვანი რამ მისცა ძველი რუსული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტებს" (1976 წ. 5/4). რუსული ლიტერატურის სიმპოზიუმზე თბილისში გამართული სჯა-ბაასისა და საერთოდ საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ აკადემიკოსი ლიხაჩოვი ოფიციალურად გვწერდა (1977 წ.): საქართველოში ყოფნამ მარტო ჩვენი ცოდნა კი არ გაამდიდრა, არამედ სულიერი სიმდიდრე შეგვძინა. ჩვენ კიდევ უფრო შეგვიყვარდა ქართველი ხალხი, მისი კულტურა (სიმპოზიუმებზე წაკითხულ მოხსენებათა ტექსტები გამოქვეყნებულია სპეციალურ კრებულში — „შუა საუკუნეების რუსული და ქართული ლიტერატურები" ლენინგრადი. 1979. კრებული მომზადდა და დაიბეჭდა დ. ლიხაჩოვის რედაქციით).

უმორჩილესად ვთხოვ მკითხველს სწორად გამიგოს, მოხმობილ ინფორმაციას თვითკმაყოფილების გამოხატულებად ნუ ჩამითვლის. ეს დამჭირდა მხოლოდ და მხოლოდ რუსთველოლოგიის პრესტიჟის დასაცავად.

„ერთი ღვთისკენ და ერთი ეშმაკისკენო", ნათქვამია. და აი გამოჩნდა ერთი ღვთისნიერი კაცი და იმავე გაზეთ „კომუნისტში" (25. 12.87) მოათავსა წერილი, სადაც ნათქვამია: „რა თქმა უნდა, **ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება რუსთაველის გენიალური ქმნილების შესწავლასთან დაკავშირებით, მაგრამ...**" მაგრამ ჩვენ მეტი გვინდა, მეტს მოვითხოვთ (კურსივი ჩემია — ა. ბ.).

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამ წერილის ავტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ ოთარ ჯაფარიძეს. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ სწორედ ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება რუსთაველის უკვდავი შემოქმედების შესამეცნებლად და სადიდებლად, მაგრამ ვაღიარებთ, ვაღიარებთ სრული გულწრფელობით, ვაღიარებთ თვითკრიტიკული წესით, რომ უთუოდ მეტი გარჯა და შრომა მოგვეთხოვება, მეტი გულმოდგინება, მეტი თავგამოდება. რუსთაველი მეტის ღირსია. დასამალი არ არის, რომ რუსთაველს ჯერ მტკიცედ არ აქვს დამკვიდრებული თავისი საკადრისი ადგილი მსოფლიო დიდების პანთეონში.

ამიტომაც არის დროული რუსთაველის საზოგადოების დაარსება. ამ საზოგადოებამ უნდა აამოძრაოს და აამოქმედოს მთელი ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ეროვნული ენერგია, ჩვენი ერის დიდი ინტელექტუალური პოტენციალი.

ალექსანდრე ბარამიძე.

ნეჩილები

ექო: „...და ისევ პალესტინა"
„კომუნისტი", 1988 წლის 20 თებერვალი.

მამულიშვილური თაოსნობა

ქართული კულტურის ამ უძველეს კერას, რუსთაველისა და თამარის საძვალეს, სხვები დაჰპატრონებიან, ქართული პოეზიის მამა სხვათა კარზეა. „ჩვენს პოეზიაში წარსული ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული წამება და ჯვარცმა, პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანაბრება საქართველოს წარსულს. საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისესხეს მანერა საუბრის, მანერა სულის გაქანების, მანერა ბრძოლისა" (გალაკტიონი). დიახ, ბრძოლით შემოინახა საქართველომ თავისი ეროვნული მეობა და ქართული სულის თავისთავადობა.

„ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენი წარსული გასაოცარია, — წერდა დიდი აკაკი, — უძველეს დროიდან დაწყებული მისთანა ხალხი არ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს... ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი... სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ, საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირას, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ეხეთქებიან, მაგრამ დაუძლურებულნი და ფაფად ქცეულნი უკანვე იქცევიან".

საქართველოს გადარჩენის უზენაესი ძალა ერთიანი საქართველოს უკვდავ სულშია დამარხული. ეს უზენაესი ძალა წარმართავდა და განაგებდა მის ისტორიას მაშინაც კი, როდესაც ის დანაწილდა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროებად, და, მაინც საქართველოს ძლიერება მისი ეროვნული სულის მთლიანობაზე იყო დამყარებული. და ამიტომაც მოგვძღვრავდა აკაკი: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო"... და, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთ გულისხმობდა, როცა ამას ამბობდა მგოსანი. ერთიანი საქართველოს სიმები იყო საზღვარგარეთ არსებული ქართული სულიერი კულტურის ცენტრებიც. მათში უმთავრესი და უპირველესი იყო „ღვთის ქალაქში" — იერუსალიმში აგებული ქართული ჯვრის მონასტერი. დღეს ჩვენი მამულიშვილური ვალია ყველაფერი ვიღონოთ, რათა მივაღწიოთ უძველესი საქართველოს სულიერი კულტურის უპირველესი ძეგლის, პალესტინის ქართული ჯვრის მონასტრის დაბრუნებას. უეჭველია, უნდა დავიბრუნოთ ჩვენი კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერა, დავიბრუნოთ არა ომით, არამედ დიპლომატიური არხით... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილი წერს: „VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოსაც ჰქონია თავის მკვიდრთათვის პალესტინაში საკუთარი, ლაზთა მონასტრად წოდებული სავანე".

საქართველოს გმირული და ამავე დროს ტრაგიკული ისტორია სრულ ანალოგიას პოულობს პალესტინაში ქართველთა მიერ დაარსებულ ჯვრის მონასტრის ისტორიასთან. ისე, როგორც საქართველოს მტრებმა დედასაქართველო მრავალგზის აიკლეს და ააოხრეს, ასევე ათასი ტანჯვა და აოხრება განიცადა იერუსალიმის ჯვრის მონასტერმა. მიუხედავად ამისა, როგორც დედასაქართველოს, ასევე მისი სულიერი კულტურის ამ უძველეს ძეგლს არ დაკლებია დაცვა და მოვლა-პატრონობა ქართველთა მხრივ. ქართველი მამულიშვილები თავის მოვალეობად თვლიდნენ ეზრუნათ პალესტინის ჯვრის მონასტრის კეთილდღეობისათვის. ამის ერთი მაგალითია საქართველოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის ანდერძი: იგი გარდაიცვალა 1853 წელს. მეფისნაცვალ ვორონცოვის შუამდგომლობით რუსეთის იმპერატორმა ინება „სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მემკვიდრე მცირეწლოვანი ნიკოლოზ, სანამ ოცი წლისა გახდებოდეს, განსვენებულის ქვრივი თავად დადიანისა დაინიშნოს მზრუნველად შვილისა და სამეგრელოს დედოფლად".

სიკვდილის წინ დავით დადიანმა დედოფალს ანდერძად დაუტოვა: პალესტინაში, როგორც ამას მისი წინაპრები სჩადიოდნენ, შეწირულებანი გაეგზავნა. დედოფალმა ეს ანდერძი აღასრულა და 1856 წელს ვრცელი წერილი მისწერა პალესტინის პატრიარქს, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ვასრულებ მეუღლის დავით დადიანის ნებას და ვაჰზავნი სპეციალურად ხრხიმანდრიტს ჰევსხიოსს, რომელსაც თან ვატან შესაწირავად: ა) განმაცხოველად საფლავისა მხსნელისა ჩვენისა შეწირულ იქნას სამი ათასი მანეთი ვერცხლის ფულით, ბ). უწმინდესთა და უნეტარესთა მსოფლიოთა პატრიარქთა: კონსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა, იერუსალიმისათა — მიერთვას თვითეულს ხუთასი მანეთი ე. ი. ოთხთავ ორი ათასი მანეთი ვერცხლისა. გ). ლავრისა წმინდის საბასსა იერუსალიმში შეწირულ იქნეს ხუთასი მანეთი ვერცხლის. დ). ოცთა მონასტერთა წმინდის ათონის მთისათა წარიგზავნოს თითოეულს ორმოცდაათი მანეთი ვერცხლისა. სრულად ათასი მანეთი ვერცხლისა. ე). ყ-დ წმინდას ღვთიშობლის ჯვარის მონასტრად შეეწიროს ორასი მანეთი...

ე. ი. სრულიად ექვსი ათას შვიდასი მანეთისა ვერცხლად... აგრეთვე შეწირულება ერთი ყუთი ვერცხლის სამგზავრნი საბმარნი ჭურჭელნი ესეც დავითის ნებისამებრ სამეგრელოს ეპისკოპოსის ჭყონდიდელის ანტონის სულის მოსახსენებლად შევეწირავს".

ამის მიხედვით წერილს თან ერთვოდა სია ვერცხლეულობისა: „ორი ხონჩა, ერთი დიდი და მეორე უნცროსი, ექვსი თეფში, თორმეტი სუფრის კოვზი, თორმეტი ჩანგალი, თორმეტი დანა ვერცხლის ტარითა, თორმეტი ჩაის კოვზი, ორი შანდალი, ერთი ჩაიდანი შიგნით ოქროთ დაფერილი. ერთი სარძევე შიგნით ოქროთ დაფერილი, ორი სამარილო ოქროთ დაფერილი".

დააკვირდით თარიღს — 1856 წელი! ეს საქართველოს სამეფოს ივერიის ჯვრის მონასტერთან ისტორიული კონტაქტის ბოლო ფურცელია. ასე ზრუნავდნენ ჩვენი დიდი წინაპრების კვალობაზე მავალნი თვით სამთავროთ გამგებელი მას შემდეგ, როცა „ერთმეფობა ქართველთა მოიშალა"...

წარსულის ერთიანი პატრიოტული ეროვნული სულისკვეთება მემკვიდრეობით მიიღო ახალმა საქართველომ და იგი ვალდებულის დაიცვას და გაუფრთხილდეს ეროვნული ერთიანობის უკვდავ სულს.

ჩვენში ამ ბოლო წლებში ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ, საკმარისია დავასახელოთ რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის იუბილეები, განსაკუთრებით შარშანდელი ილიას იუბილე, მართლაც რომ, უდიდეს ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ამ ეროვნულ ზეიმში, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ჯ. პატიაშვილი, თითქმის მთელი მსოფლიო მონაწილეობდა. ამ ფონზე სავსებით გასაგებია საქართველოს კომპარტიის დიდი თაოსნობა, რომ კვლავ დაუბრუნდეს დედასაქართველოს მისი სულიერი კულტურის უძველესი ძეგლი—ქართული ჯვრის მონასტერი იერუსალიმში. ეს შეუძლია საქართველოს, ეს დაამტკიცა საქართველომ, ამის უფლება მოიპოვა მან, როგორც უძველესი კულტურის მქონემ.

ამის კიდევ ერთი დასტური იყო ილიას ზეიმში საზღვარგარეთელი ქართველოლოგების გამოსვლა. არა მარტო გვახარებდა მათი ჩინებული ქართული, არამედ მათი საოცარი სათუთი დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი.

გზა დავულოცოთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ამ ახალ მამულიშვილურ თაოსნობას: დავიბრუნოთ ჩვენი მამა-პაპის ნაამაგარი საზღვარგარეთული კულტურული სამონასტრო კერები.

სერგი ჭილაია.

ავტორისეული მინაწერი:

საქართველოს ფარი და ხმალი, მისი ეროვნული სიდიადის საბუთი „ვეფხისტყაოსანია". ყოველ გასაჭირის ჟამს ერისკაცები „ვეფხისტყაოსნის" უკვდავ სულებს გამოუხმობდნენ. ერს ერთიანი საქართველოს ბელადი, ილია რომ გამოეცალა ხელიდან, ამ უჟამობის ხანაში აკაკისა და ვაჟას წინადადებით რუსთაველის საზოგადოების ჩამოყალიბებას შეუდგნენ. მართლაც შეიქმნა საზოგადოება და 1918 წლის გაზეთ „თემში" წესდებაც გამოქვეყნდა. სწორედ ამ საზოგადოების თაოსნობით ჩამოვიდა 1914 წელს თბილისში ბალმონტი. ამავე საზოგადოების თაოსნობით დაიბეჭდა რუსთაველის პორტრეტი, გამოიცა რამდენიმე წიგნი. 1917 წელს საზოგადოება შეუერთდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს. საზოგადოებისა და კავშირის დადგენილებით გოლოვინის პროსპექტს წოდე რუსთაველის პროსპექტი ეწოდა, ხოლო 1921 წლის იანვარში ქაშვეთის წინ საფუძველი ჩაეყარა რუსთაველის ძეგლის საძირკველს. საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი თაოსანთაგანი იყო ცნობილი მოღვაწე და მთარგმნელი ალ. ყანჩელი.

უცხოეთში

საქდესი იუწყება 16 მარტი

ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკება

სიძნელეები კვლავ რჩება

ნიუ-იორკი. ეი-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა მოჰამედ ხან ჯუნეჯომ განაცხადა, რომ მან მისცა მითითება პაკისტანის დელეგაციის წევრებს ავღანეთ-პაკისტანის ჟენევის მოლაპარაკებაზე ხელი მოაწერონ მორიგებებს ავღანეთის პრობლემის მოწესრიგების თაობაზე.

„პაკისტანი წინააღმდეგი არ არის, რომ მათ ხელი მოაწერონ, — თქვა პრემიერ-მინისტრმა. — მაშინვე, როცა დამთავრდება მუშაობა შეთანხმებაზე, მას ხელს მოვაწერთ".

ამასთან ჯუნეჯომ გასაგებად თქვა, აღნიშნა ეი-ბი-სიმ, რომ „მართალია, პაკისტანი ხელს მოაწერს ჟენევის შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის გამოყვანას, მაგრამ იგი უარს არ ამბობს თავის პოზიციაზე, რომელიც ითვალისწინებს სხვა მორიგებების ხელმოწერას, რომლებიც პაკისტანელთა აზრით, აუცილებელია იმისათვის, რომ შეთანხმება ეფექტიანი იყოს". მათ შორის პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა დაასახელა ავღანეთში „კონსენსუსის მთავრობის შექმნა, რომელსაც ყველა სცნობდა", „ლტოლვილთა დასაბრუნებლად კეთილსასურველი ატმოსფეროს" შექმნა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთისათვის ყოველგვარ დახმარებაზე ან მხარდაჭერაზე უარის თქმა.

პარიზი. ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკებაზე მხარეები კვლავ ცდილობენ მიაღწიონ საბოლოო შეთანხმებას, განაცხადა პარიზის გაზეთ „ლიბერასიონისათვის" მიცემულ ინტერვიუში ჟენევის მოლაპარაკებაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა დიეგო კორდოვესმა. დღეს ჯერჯერობით არ არის შეთანხმების ხელმოწერის შესაძლებლობა, რადგან დოკუმენტი არ არის მზად, მაგრამ მოლაპარაკება გაგრძელდება. მრავალი სიძნელეა მორიგების მიღწევის გზაზე, თქვა მან. დღეს არავინ არ უნდა დაიშუროს ძალ-ღონე მათი დაძლევისათვის. ჩვენ არ გვინდა ნაჩქარევი ხელოვნური შეთანხმება. ყოველი მხარე იჩენს სიფხიზლეს, სიმტკიცესა და წინდახედულობას, ყურადღებას უთმობს უმცირეს ნიუანსს, თქვა დ. კორდოვესმა.

◆ პანამა

ამზადებენ ინტერვენციას

ჰავანა. აქ მიღებული ცნობებით, ამერიკის სპეციალური დანიშნულების ჯარების ასამდე სამხედრო მოსამსახურე ჩავიდა პანამის არხის ზონაში. იქ ვაშინგტონი აწყობს სამხედრო წვრთნას, რაც პანამის მთავრობას ამ ქვეყნის წინააღმდეგ შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის პრელუდიად მიაჩნია. მანამდე კი პროვოკაციულ მანევრებში მონაწილეობისათვის შეერთებული შტატების ეროვნული გვარდიის 650 წევრი ფლორიდის შტატიდან და პუერტო-რიკოდან ჩავიდა შეერთებული შტატების სამხრეთ სარდლობის განკარგულებაში იმ 15 ათასი ჯარისკაცისა და ოფიცრის დამატებით, რომლებიც განლაგებული არიან პანამის არხის ზონაში.

ვაშინგტონი. კონგრესის ლიდერებთან შეხვედრაზე ამერიკის პრეზიდენტმა რ. რეიგანმა განაცხადა, რომ მის ადმინისტრაციას სურს გენერალ ნორიეგას წასვლა პოლიტიკური სცენიდან. სხვანაირად რომ ვთქვათ, სრულიად აშკარაა ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში შეერთებული შტატების უხეში ჩარევის ფაქტი. როგორც ცნობილია, პანამის ხელმძღვანელები, კერძოდ, ეროვნული თავდაცვის ძალების მთავარსარდალი გენერალი ნორიეგა, დაჟინებით მოითხოვენ შეერთებული შტატებისაგან პანამის არხის თაობაზე ხელშეკრულების მკაცრად დაცვას, რომლის თანახმად ეს მნიშვნელოვანი ოკეანეთშორისი გზა რესპუბლიკის კონტროლს უნდა დაექვემდებაროს 2000 წელს.

◆ აშშ-ისრაელი

უთანხმოება ვერ დაძლიეს

ვაშინგტონი. აქ დაწყებული მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯ. შულცსა და ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსულ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ი. შამირს შორის მაშინვე ჩიხში მოექცა ერთ-ერთი ცენტრალური საკითხის გამო, რომელიც შეეხებოდა ახლო აღმოსავლეთის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის იდეას.

პირველი პლენარული სხდომის დამთავრების შემდეგ შულცმა აღიარა, რომ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო ადმინისტრაციის მიერ წამოყენებულმა რეგიონში ეგრეთ წოდებული „მოწესრიგების" გეგმის განხილვამ. როგორც მან თქვა, მხარეებმა „ვერ გამონახეს უთანხმოებათა დაძლევის გზები". ისრაელის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, თელ-ავივი „ახლო აღმოსავლეთის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის „ვერავითარ პოზიტიურ როლს" ვერ ხედავსო. „ჩვენ უწინარესად დაინტერესებული ვართ ყველა მხარესთან უშუალო მოლაპარაკებით", ხაზგასმით აღნიშნა შამირმა.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ავი პაზნერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამერიკა-ისრაელის მოლაპარაკება გაგრძელდება, მაგრამ შამირი არ აპირებს გარკვეული პასუხი გასცეს „შულცის გეგმას", სანამ ვაშინგტონის მოლაპარაკების შედეგებს არ განიხილავს ისრაელის კაბინეტთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

სესია მუშაობას განაახლებს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 42-ე სესია მუშაობას განაახლებს პარასკევს, 18 მარტს, იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა დახუროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მუდმივი მეთვალყურეობის მისია.

საერთაშორისო გაერთიანების აზრით, შეერთებული შტატები ამ დისკრიმინაციული და სამართალსაწინააღმდეგო ნაბიჯით დაუპირისპირდა მთელ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და დაარღვია საკუთარი ვალდებულებანი.

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში აღნიშნავენ, თუ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მისია დაიხურება, ეს საშიშ პრეცედენტს შექმნის და ვაშინგტონს საშუალებას მისცემს თავისი ნება-სურვილით დახუროს შემდგომში მისთვის არასასურველ წარმომადგენელთა სხვა მისიებიც.

დღეს ავღანეთში

◆ ავღანელი მშრომელები აღსავსენი არიან რწმენითა და იმედით, რომ ღირსსახსოვარ თარიღს ქვეყნის ისტორიაში — აპრილის რევოლუციის მეათე წლისთავს — აღნიშნავენ ძმათამკვლელი ომის შეწყვეტისა და დიდი ხნის ნანატრი მშვიდობისა და სიმშვიდის პირობებში.
სურათზე: ავღანეთის დედაქალაქის — ქაბულის ქუჩებში.
ადნ-საქდესის ფოტო.

ამერიკა არჩევნების წინ

ლიდერმა პოზიციები განიმტკიცა

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკელმა ჯორჯ ბუშმა და სენატორმა — დემოკრატმა პოლ საიმონმა, რომლებიც იბრძვიან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში თავიანთი პარტიების კანდიდატებად დასახელებისათვის, ილინოისის შტატში გამართულ პირველად არჩევნებში მოიპოვეს გამარჯვება. ამრიგად, მათ გაინაღდეს ილინოისელ დელეგატთა უმრავლესობის მხარდაჭერა პარტიათა ზაფხულის საერთო ეროვნულ ყრილობაზე.

ბუშმა, რომელმაც ახალ წარმატებას მიაღწია და დიდი უპირატესობით უსწრებს დანარჩენ პრეტენდენტებს, კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი ლიდერის პოზიცია რესპუბლიკელთა წინასაარჩევნო კამპანიაში.

შედარებით გაუჭირდა გამარჯვება ილინოისში საიმონს. მართალია, როგორც ადგილობრივ მკვიდრს, მას აშკარა ფავორიტად მიიჩნევდნენ, მაგრამ საიმონს მოუწია მოეგერიებინა შტატის მრავალ რაიონში ძალზე პოპულარული ზანგი პოლიტიკური მოღვაწის ჯესი ჯექსონის შემოტევა, რომელმაც, საბოლოო ანგარიშით, მეორე ადგილი დაიკავა.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ პარიზი. საფრანგეთის დედაქალაქში ევროპის კოსმოსური სააგენტოს შენობაში საბჭოთა მეცნიერს, აკადემიკოს როალდ საგდეევს გადაეცა საერთაშორისო პრემია „წლის კაცი-87". „დამკვიდრებული ტრადიციით, — აღნიშნა საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პრემიის საერთაშორისო ჟიურის პრეზიდენტმა ლეო ხენეკომმა, — ჩვენი პრემია ყოველწლიურად ენიჭება საფრანგეთის ერთ წარმომადგენელსა და ერთ უცხოელს კაცობრიობის წინაშე უთვალსაჩინოესი დამსახურებისათვის".

◆ ბონი. ხოცინტერნის ახლო აღმოსავლეთის საკითხთა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ ჰანს-იურგენ ვიშნევსკიმ ისრაელის ხელმძღვანელებს მოსთხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს ისრაელ ოკუპანტთა თარეში არაბულ მიწებზე, განუხრელად დაიცვან ადამიანის უფლებები. ამას წინათ ამ კომისიამ იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებში.

◆ ტოკიო. „მემარჯვენეთა მუქარის მიუხედავად განვაგრძობთ გამოსვლებს ტერორიზმის წინააღმდეგ, ბრძოლას პრესის თავისუფლებისათვის", — ასეთი განცხადება გააკეთა იაპონიის პრესის მუშაკთა პროფკავშირების ფედერაციამ, რომელიც თავის რიგებში დაახლოებით 40 ათას ჟურნალისტს აერთიანებს. ფედერაციამ გამოქვეყნებულ განცხადებაში მკაცრად დაგმო იაპონიის პრესის ორგანოთა წინააღმდეგ ულტრამემარჯვენეთა გამოხდომები, მათ შორის გაზეთ „ასაჰის" წინააღმდეგ ახლახან განხორციელებული ტერორისტული აქცია.

◆ დელი. სულ ცოტა 66 კაცი დაიღუპა ჩრდილოეთ ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატში ჩამოწოლილი თოვლის ზვავების დროს. ლადაქჰის ოლქში დაინგრა აგრეთვე ბევრი საცხოვრებელი ნაგებობა, სკოლა და ადმინისტრაციული შენობა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააფრთხილეს მოსახლეობა, რომ ზვავების ჩამოწოლის საშიშროება კვლავ არსებობს ჯამუსა და ქაშმირის ზოგიერთ რაიონში.

გასტროლები

თბილისიდან — „კოვენტ გარდენში"

მარია გულეგინა საბჭოთა საოპერო სცენის ახალი „ვარსკვლავი" გახლავთ. 27 წლის მომღერალმა თავის შედარებით ხანმოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე შესაშურ წარმატებებს მიაღწია და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა სოპრანოთა შორის.

მ. გულეგინამ 1983 წელს დაამთავრა ოდესის სახელმწიფო კონსერვატორია და იმავე წელს მინსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წამყვანი სოლისტი გახდა. იგი გლინკას სახელობის მომღერალთა საკავშირო კონკურსში გამარჯვებული, რიო-დე-ჟანეიროს საერთაშორისო კონკურსის „გრან-პრის" მფლობელია. 1986 წელს კი მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის მომღერალთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა.

ამავე წელს შედგა მომღერლის დებიუტი „ლა სკალაში", სადაც მან ვერდის „ბალ-მასკარადის" ზედიზედ სამ პრემიერაში მიიღო მონაწილეობა თანამედროვეობის გამოჩენილ მომღერალთან ლუჩიანო პავაროტისთან ერთად და დიდი წარმატებით შეასრულა ემილიას პარტია. ამავე წელს მ. გულეგინა მრავალფეროვანი კამერული და საოპერო რეპერტუარით წარდგა უნგრელი მაყურებლის წინაშე.

1987 წელს მომღერალი კვლავ იტალიაშია და ლუკრეციას პარტიას მღერის ვერდის „ორფოსკარში". ამჟამად მისი პარტნიორია სახელგანთქმული ბარიტონი, „მეტროპოლიტენ-ოპერის" სოლისტი რენატო ბრუზონი.

აღსანიშნავია, რომ მ. გულეგინას აქტიური შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს ჩვენს სახელოვან პაატა ბურჭულაძესთან, ისინი ხშირად გამოსულან ერთად სხვადასხვა სპექტაკლში თუ კონცერტზე.

ბელორუსიის სსრ დამსახურებულ არტისტ მ. გულეგინას უნიკალური ტემბრისა და სილამაზის ხმა აქვს. მის მიერ შექმნილი სცენური სახეები გამოირჩევა მაღალპროფესიული ოსტატობითა და ორიგინალური აქტიორული ინტერპრეტაციით.

24 მარტს მომღერალი მხოლოდ ერთი დღით ესტუმრება თბილისს. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შესრულებს აიდას პარტიას ვერდის „აიდაში". თბილისიდან კი მომღერალი ინგლისში გაემგზავრება, სადაც სპექტაკლებს სახელგანთქმულ „კოვენტ გარდენის" სცენაზე გამართავს.

ლონდა ესაძე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მეგობრობის ახალი მერიდიანები

ზარზან, შემოდგომაზე ქობულეთის მშრომელთა დელეგაცია პარტიის რაიკომის პირველი მდივნის რ. პატარიძის ხელმძღვანელობით ეწვია სტავროპოლის მხარის სოვეტსკის რაიონის მშრომელებს. ქობულეთელები გაეცნენ მოძმეთა წარმატებებს. შემდეგ კი მათთან გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

და აი, საპასუხო ვიზიტად ახლახან ქობულეთს ეწვია სოვეტსკის რაიონის მშრომელთა დელეგაცია პარტიის რაიკომის პირველი მდივნის გიორგი ხურტაევის მეთაურობით. სტუმრები გაეცნენ ოჩხამურის აგროსამრეწველო კომბინატს, დაათვალიერეს ჩაის პლანტაციები და ჩაის ფაბრიკა. იყვნენ ბობოყვათის კოლმეურნეობაში, ჩაქვში, დასასვენებელ სახლებში, ტუნგსახდელ ქარხანაში. შეხვდნენ მშრომელებს, დარწმუნდნენ, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა საქართველოში ინტერნაციონალურ მეგობრობას. სტუმრები მოიხიბლნენ ზღვისპირეთის თვალწარმტაცი ბუნებითა და მასპინძელთა სტუმართმოყვარეობით.

▼ ▼

შეხვედრა პოეტთან

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრში გაიმართა შეხვედრა საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატ რეზო ამაშუკელთან.

შეხვედრა გახსნა თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორმა თ. ქვარიანმა, აუდიტორია ყურადღებით უსმენდა პოეტის ლექსებს. შემდეგ გაიმართა გულახდილი დიალოგი. შეკრებილნი დიდხანს და საინტერესოდ საუბრობდნენ პოეზიაზე, დღევანდელობაზე, ახალგაზრდობის პრობლემებზე, სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

მასალები რუბრიკისათვის მოამზადა მ. ანასაშვილმა.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

გემის მღებავები. ა. თალაკვაძის (ბათუმი) ფოტო.

სპორტი

წყალბურთი

დაიწყო მეორე წრე

თბილისსა და ძერჟინსკში დაიწყო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის შეხვედრები. ვაკის საცურაო აუზში ასპარეზობენ მოსკოვის „უნივერსიტეტი" და „მოსკვიჩი", ხარკოვის „ლოკომოტივი", მოსკოვის, ლვოვისა და თბილისის დინამოელები.

მასპინძელთა პირველი მეტოქე მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი იყო. დინამოელებმა ეს შეხვედრა კარგად დაიწყეს და დაწინაურდნენ (2:0), თუმცა შემდეგ მდგომარეობა გათანაბრდა, ხან ერთი გუნდი გადიოდა წინ, ხან — მეორე. მართალია, მატჩის მიწურულს ქართველი წყალბურთელები მეტოქის კარის მისადგომებთან „დასახლდნენ", მაგრამ გადამწყვეტი გოლის გატანა ვერ შეძლეს. ფრე — 7:7 (2:1, 1:2, 2:2, 2:2). საინტერესოა, რომ ასეთივე ანგარიშით დამთავრდა ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაც. გუშინწინდელ მატჩში თბილისელთაგან გოლი გაიტანეს ბაღათურიამ, კუტივაძემ (2-2), ზუმბულიძემ, კანდელაკმა და რამიშვილმა.

ჩემპიონატის ლიდერმა — მოსკოვის „დინამომ" ქულა დაკარგა „მოსკვიჩთან" შეხვედრაში — 7:7, ლვოვის დინამოელებმა კი დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ხარკოვის „ლოკომოტივი" — 7:6.

უკანასკნელ საათს

გუშინ მორიგი სამი მატჩი გაიმართა: მოსკოვის „დინამო" — ლვოვის „დინამო" — 7:8, „უნივერსიტეტი" — „მოსკვიჩი" — 10:9, თბილისის „დინამო" — ხარკოვის „ლოკომოტივი" — 7:6.

ჭადრაკი

რესპუბლიკურ პირველობაზე

ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო პირველობის მეთერთმეტე ტურის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩემპიონობისათვის რეალურად მხოლოდ ორი მონაწილე იბრძვის — ციალა ქასოშვილი (გორი) და ქეთევან კახიანი (დიდი ლილო). მათ მოიგეს თავიანთი მორიგი პარტიები. ქასოშვილმა ალა ჩაიკოვსკაია (თბილისი) დაამარცხა, კახიანმა — ეკატერინე ფახიროვა (ქუთაისი). ახლა ლიდერებს 8,5 — 8,5 ქულა აქვთ. 6,5 ქულით III-VII ადგილებს იყოფენ ქეთევან და ნინო მელაშვილები (ორივე — თბილისი), თამილა მესხი (ქუთაისი), იამზე თვაური (თბილისი) და ეკატერინე ფახიროვა (ქუთაისი).

უცხოური იუმორი

უსიტყვოდ.

მოკლედ

ფეხბურთი. გუშინ მინსკში გაიმართა ადგილობრივი „დინამოსა" და ბელგიის „მეხელენის" განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის თასების მფლობელთა თასზე. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1. ბელგიელი ფეხბურთელები ნახევარფინალში იასპარეზებენ.

გუშინწინ ქუთაისში მოეწყო „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:1. გოლები გაიტანეს ენუქი თევზაძემ, მამუკა ფანცულაიამ და ჯემალ გუბაზმა.

რედაქტორი Ნ. ფოფხაძე.

მედიცინა

ცნობილი გინეკოლოგ-ონკოლოგი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან ჩარკვიანი ერთადერთი მონაწილე გახლდათ ჩვენი ქვეყნიდან გინეკოლოგ-ონკოლოგთა V საერთაშორისო შეხვედრისა, რომელიც ვენეციაში გაიმართა.

მაინც რა საკითხები განიხილეს მსოფლიოს გამოჩენილმა მეცნიერმა და პრაქტიკოსმა გინეკოლოგებმა, რა ღონისძიებები დასახეს კიბოსთან — საუკუნის ამ უბოროტეს სენთან საბრძოლველად? ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხთა განმარტება სთხოვა მას ჩვენმა კორესპონდენტმა.

ნუ დავიზარებთ ექიმთან შევლას

გინეკოლოგ-ონკოლოგთა საერთაშორისო ფორუმის ექო

— როგორც ვიცით, თქვენ პირველად არ მონაწილეობდით ამგვარ ფორუმში. რით განსხვავდებოდა ეს შეხვედრა ადრინდელი კონგრესებისა თუ სიმპოზიუმებისაგან?

— პირველყოვლისა, წარმომადგენელთა საერთო სურვილით — ვიქონიოთ უფრო მჭიდრო და საქმიანი კონტაქტები, ვინაიდან ამგვარი თანამშრომლობის გარეშე ვერა და ვერ გავუმკლავდებით კიბოს. უახლესი სტატისტიკური მონაცემებიც ხომ თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს ამ დარგის სპეციალისტებს. რატომ? პასუხი ერთია: მთელ მსოფლიოში მატულობს თითქმის ყველა ორგანოს კიბო და, გამონაკლისს მხოლოდ საშვილოსნოს ყელისა წარმოადგენს. საბედნიეროდ, ამ ორგანოს სიმსივნის რიცხვი არამცთუ სტაბილური გახდა, კლებულობს კიდეც, მაგრამ, მედალს ხომ ორი მხარე აქვს. იკლო შობადობამ და, ამისდა კვალობაზე, დაავადებამაც. ისე კი ნუ გაგვიგებენ, თითქოს, მხოლოდ რეპროდუქციულ ფუნქციაზე იყოს დამოკიდებული ეს ყოველივე. ჩვენ, გინეკოლოგები, არხეინად რომ ვიყოთ და რეგულარულად არ მივმართავდეთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, სისტემატურად არ ვუწევდეთ პროპაგანდას ნაყოფის ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს, რამაც ძაც საგრძნობ შეამცირა აბორტები, საშვილოსნოს ყელის კიბოც მოხშირდებოდა.

— გამოდის რომ, რაც ნაკლები სიცოცხლე მოგვევლინება, მით უფრო დაზღვეული ვყოფილვართ...

— აქ წმინდა მათემატიკურ კანონზომიერებასთან როდი გვაქვს საქმე. როცა ორსულობა და მშობიარობა ბუნებრივ ფიზიოლოგიურ პირობებში მიმდინარეობს, არამცთუ არყევს დედის ჯანმრთელობას, პირიქით, ფიზიკურადაც და მორალურადაც ამხნევებს, უფრო ლაღსა და სათნოს ხდის მას. არასასურველი სხვა რამ გახლავთ. კერძოდ, ის, რომ ნაწილი ქალებისა ადრეულ ასაკშივე თხოვდება, ნაწილი კი... ერთობ დაგვიანებით. ამიტომ, ჩვენი რჩევაა, ქალებმა თავადვე მოიგვარონ ეს პრობლემა თვრამეტიდან, ასე, ოცდაოთხ წლამდე. და, რა თქმა უნდა, ვაჟებიც დროულად უნდა დაუწყვილდნენ მათ.

— რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში და რას გვეუბნება უახლესი ონკოლოგიური სტატისტიკა?

— ჩვენშიც კლებულობს საშვილოსნოს ყელის კიბო, მაგრამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ერთიორად იმატა ძუძუს, საშვილოსნოს ტანისა და საკვერცხეების სიმსივნემ. ამ ორგანოებს ჰორმონოდამოკიდებულთ ვუწოდებთ მედიცინის ენაზე და, მართებულადაც. ჩამოთვლილ ორგანოთა კიბოს წარმოქმნის სწორედ ჰორმონული წონასწორობის დარღვევის შედეგია. ამგვარ დარღვევას კი მრავალი ფაქტორი განაპირობებს.

ჩვენ, გინეკოლოგები კი ვფხიზლობთ, მაგრამ თავად ქალებმაც უნდა იფხიზლონ, მეტი გულისხმიერებით მოეკიდონ პირად ჯანმრთელობას.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი მანდილოსნების უმრავლესობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ მოგვმართავს. არადა, წელიწადში ერთხელ მაინც რომ შემოიარონ ქალთა კონსულტაციაში...

— დავარქვათ ქალთა კონსულტაციებს სილამაზის სალონი და... რიგშიც ჩაეწერებიან...

—მართალს ბრძანებთ. მაგრამ... ქალები მაინც გარეგნობას ანიჭებენ უპირატესობას და ნაკლებ უფიქრდებიან იმას, რომ, თუ ჯანმრთელობა შეერყათ, თმის ვარცხნილობაც დაავიწყდებათ და მანიკურიც...

— მოდით, ახლა ჩვენს საერთო სატკივარზეც შევჩერდეთ. მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებააო, ილიასეულ შეგონებად კი გაისმა ამ ხუთიოდე წლის წინათ, მაგრამ...

— ეს სიტყვები ერთგვარ მოწოდებად გაჟღერდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ პლენუმზე, რომელიც უშუალოდ რესპუბლიკის დემოგრაფიულ პრობლემებს მიეძღვნა და ერთობ საგულისხმო ღონისძიებანიც დასახა ერის გამრავლებისათვის. მაგრამ... კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. თუ დროულად არ ვიფიქრეთ დაოჯახებაზე, გადავშინაბერდით და გადავბერბიჭდით, ეს ისედაც ერთი მუჭა ხალხი მთლად თითზე დასათვლელი გავხდებით ხვალ-ზეგ.

— თქვენი ეს საყვედური სავსებით სამართლიანია, მაგრამ არის სხვა სოციალური ასპექტებიც...

— რას გულისხმობთ?

— თუნდაც, უმარტივეს პეშმარიტებას — ახალდაქორწინებულთ ჭერი ხომ უნდა ეხუროთ?!

— კი, ჭერიც უნდა ჰქონდეთ და სხვა პირობებიც, დროც შეიცვალა და მოთხოვნილებაც გაიზარდა, მაგრამ მოსიყვარულე ცოლ-ქმარი თოხის ტარზეც დაეტევაო, ქართველს უთქვამს, ჩინელს კი არა.

აქვე ერთი სენზეც უნდა ითქვას. ერის გამრავლებას ბევრად უშლის ხელს მარტოხელა დედობის პრობლემა. ჩვენს ქალებს ფრიად საძრახისად მიაჩნიათ ამგვარი დედობა, კრიმინალურ აბორტსაც არ ერიდებიან და თავსაც საფრთხეში იგდებენ. არც იმას უფიქრდებიან, რომ ქვეყანას შვილებს უკარგავენ.

— დავბრუნდეთ... ვენეციაში. ამგვარი ფორუმის მონაწილენი ხომ წინასწარ უგზავნიან თეზისებს საორგანიზაციო კომიტეტს. დაინტერესდნენ თუ არა თქვენი მოხსენებით უცხოელი კოლეგები?

— მას შემდეგაც, რაც პირველსავე პლენარულ სხდომაზე წარმოვადგინე ვრცელი მოხსენება, არაერთი სპეციალისტი დაინტერესდა ჩვენი ონკოლოგიური ცენტრის კვლევის შედეგებით. ევროპის გინეკოლოგ-ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ანტონიო ონისმა კი, რომელიც ქალაქ პადუის უნივერსიტეტის გინეკოლოგია-მეანობის ინსტიტუტის დირექტორია, თანამშრომლობაც შემოგვთავაზა. და იქვე დაიდო ხელშეკრულებაც საშვილოსნოს ტანისა და ვულვის კიბოს მკურნალობის ახალი კომპლექსური მეთოდების ერთობლივი შემუშავებისათვის. იქვე შევხვდი პანამის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ როზა ბრიტონს. შევთანხმდით, და ჩვენ სისტემატურად გავუგზავნით მათ მასალებს საქართველოში გინეკოლოგიური კიბოს გავრცელების თავისებურებებზე, ხოლო ისინი ანალოგიურ ინფორმაციებს მოგვაწვდიან პანამიდან, მექსიკიდან, კოსტა-რიკიდან და კოლუმბიიდან. ამ მასალებზე დაყრდნობით გამოქვეყნებული ერთობლივი შრომები კი კიბოს ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

— უკვე ძალაშია „სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანდაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი". იქ ნათქვამია, რომ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული კვლევის ჩამორჩენა სოციალური მოთხოვნების გარეშე მიმდინარეობს და აქ წარმმართველი როლი სწორედ სამედიცინო მეცნიერებას ენიჭება. გამოდის, რომ ამგვარი კვლევა სოციალური დაკვეთით უნდა ხდებოდეს. რა კეთდება საამისოდ ჩვენს ონკოლოგიურ ცენტრში, რომლის გინეკოლოგიურ განყოფილებასაც თქვენ ხელმძღვანელობთ?

— რადიკალურ ცვლილებებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ სასიკეთო ძვრებიც საგრძნობია. მაგალითად, ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომელი ზურაბ რობაქიძე უშუალოდ ჩემი და დოცენტ კონსტანტინე მადიჩის ხელმძღვანელობით ძალზე ნაყოფიერად მუშაობს ჰორმონოდამოკიდებულ ორგანოთა ავთვისებიანი სიმსივნეების პროფილაქტიკის, ადრეული დიაგნოსტიკის ეფექტიანი და ეკონომიური ღონისძიებების დასაძებნად. ასე რომ, ვგონებ, პირველად ჩვენში განხორციელდება ამგვარ დაავადებათა პროფილაქტიკა და ადრეული გამოვლენის სისტემურ უბნობრივ პრინციპებზე ქალთა კონსულტაციებში. ეს სწორედ სოციალური დაკვეთის პასუხია. გვაქვს სხვა სიახლენიც.

— უკვე საათია ვსაუბრობთ და საერთოდ არ გიხსენებიათ „კატრექსი". იმიტომ ხომ არა, რომ იგი „პანაცეა არ არის?.."

— ერთი სული მქონდა, როდის ახსენებდით. ბევრმა ვნახეთ სატელევიზიო რეპორტაჟი იმ განხილვისა, ჯანმრთელობის მინისტრი ე. ჩაზოვი რომ უძღვებოდა. იქ, პრაქტიკულად, ყველაფერი ითქვა. მე უშუალო მეთვალყურე ვარ „კატრექსის" მთელი „თავგადასავლისა". დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს მის ავტორთან — ალექსანდრე გაჩეჩილაძესთან, რომელსაც დიდ პატივს ვცემ როგორც ენერგიულ მკვლევარს. „კატრექსი" — არც მას და არც ჩვენ, არათუ პანაცეად, კიბოს საწინააღმდეგო სპეციფიკურ საშუალებადაც არ მიგვაჩნია. თუმცა, ცოდვა გატეხილი სჯობს და, იგი დღემდე ვერ შევაისწავლია ჯეროვნად. ვფიქრობ, ავტორს უთუოდ ძალუძს სწორი დასკვნები გამოიტანოს ამ განხილვიდან და მიაღწიოს იმას, რომ „კატრექსი" გახდეს ორგანიზმის იმუნოლოგიური მასტიმულირებელი საშუალება. ამასთან, სავსებით შესაძლოა, სხვა კეთილი ღირსებებიც აღმოაჩნდეს მას. ამის გამოვლენას კი წლები სჭირდება, და არა... სამად სამი თვე.

— როგორც ვიცით, ევროპის გინეკოლოგ-ონკოლოგები გაისად კვლავ შეიკრიბებიან პარიზში. მანამდე კი გილოცავთ?..

— რას?..

— ამ ასოციაციის წევრობიდან საპატიო წევრად რომ „დაგაწინაურეს".

— საიდან შეიტყვეთ?

— ასეთია ჩვენი პროფესია.

ესაუბრა ლ. გახარია.

საკორესპონდენტო პუნქტები:
სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-24-51; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი—2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი—3-12-09; ტყიბული — 25-82.

რედაქციის მისამართი:
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14
ტელეფონები:
ცნობებისათვის — 93-95-54
მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24

ტელევიზია—ხუთშაბათი, 17 მარტი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ფეხბურთი. თასების მფლობელთა თასი. მეოთხედფინალი. მინსკის „დინამო" — ბელგიის „მეხელენი". 10.25 — ცხოველთა სამყაროში. 11.25 და 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — მეცნიერებისა და შრომის კავშირი. დოკუმენტური ტელეფილმი „ვიბროტექნიკის ფენომენი". 17.05 — კორიაკეთის მოცეკვავეთა ეროვნული ანსამბლის „მენგოს" კონცერტი. 17.40 — ახალი ამბები. 17.45 — ეკონომიკური ცოდნის საფუძვლები. ჟურნალი „ტელეეკო". 18.25 — მოცარტის ვოკალურ ნაწარმოებებს ასრულებს პ. შრაიდერი (გდრ). 19.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 20.05 — რუსეთის სდმპ I ყრილობის 90 წლისთავისათვის. თეორიის საკითხები. „მომავლის დასაწყისი". 20.35 — დღეს მსოფლიოში. 20.55 — ტელეფილმ-სპექტაკლი „ობიექტური გარემოებანი". 22.00 — „ვრემია". 22.50 — ტელეფილმ-სპექტაკლის გაგრძელება. 23.40 — დღეს მსოფლიოში. 23.50 — იტალიური სიმღერის ფესტივალი სან-რემოში. პირველი გადაცემა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ზოგადი ბიოლოგია. X კლასი. 10.05 და 12.05 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ისტორია. 11.35 და 12.35 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. IX კლასი. 13.05 — მხატვრული ფილმი „კრალევოს მატარებელი". 14.20 — ქალაქები და წლები. დოკუმენტური ფილმები. 14.55 — ახალი ამბები. 15.00 — განმეორებითი ტელეფილმის დღის სეანსი. „სინდისი". IV სერია. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — სოფლის საათი. 20.15 — ხალხური მუსიკის სრულიად რუსეთის დეკადა. გამოდის ქ. კალუგის ხალხური მუსიკის ანსამბლი „ბესედი". 20.30 — რიტმული ტანვარჯიში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — შეხვედრები ბრიტანეთთან. ტელეხიდი რიგა — გლაზგო. 22.00 — „ვრემია". 22.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „თეთრ კარს უკან". ახალი მიმართულება წყლულოვან დაავადებათა ქირურგიაში. 23.55 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნამუადღევს". 13.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. „ჩვენ გვმასპინძლობს საზავშვო ბაღი". 14.00 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 14.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „აკვანი". 14.50 — პირველად ჩვენს ეკრანზე დოკუმენტური ფილმი „ამხალი". 15.10 — მასწავლებლის საათი. ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.00 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.30 — კინონარკვევი. 16.45 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ცვლა". 17.35 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი". 18.20 — სათავგადასავლო ფილმის ეკრანი. მხატვრული ფილმი „ყველა საგუშაგოს საყურადღებოდ!" 19.40 — გარდაქმნის წახნაგები — „დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი" (სიახლენი პლასტმასის წარმოებაში). 20.00 — მოამბე. 20.40 — წერილის დღე. 20.45 — კონცერტი. 21.10 — წერილის დღე. 21.15 — შეხვედრა ბრიტანეთთან. ტელეხიდი რიგა—გლაზგო. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 23.20 — სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში. თბილისის „დინამო" — ლვოვის „დინამო". 23.50 — იტალიური სიმღერის ფესტივალი სან-რემოში (I გადაცემა).

მეორე პროგრამა. 17.50 — მხატვრული ფილმი „დროა შვილმა ცოლი შეირთოს". 19.15 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 20.00 — მოამბე. 20.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ტელეფილმი „გზაზე".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 05248 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14